6625

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 5 აგვისტო 1941 წ. № 183 (6188) ფასი 15 კაპ.

მტერზე გამარჯვებისათვის!

მილიონობით საბჭოთა ადამიანების მთელი არსება, მათი ფიქრი და აზრი ახლა ერთ დიად მიზანს ემსახურება: დააჩქარონ გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის მოსპობა, ყველაფერი გააკეთონ მუხანათ მტერზე ჩვენი გამარჯვებისათვის!

წითელი არმიის, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის ლეგენდარული ბრძოლა ფრონტზე, მილიონობით საბჭოთა მოქალაქეების თავდადებული მუშაობა ზურგში — აი ეს არის ზურგისა და ფრონტის მონოლიტური ერთიანობა, რომელიც მარწუხებს უჭერს გაცოფებულ მტერს, აჩქარებს მის ალსასრულს. და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო იზრდება საბჭოთა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების გმირული წინააღმდეგობა მტრისადმი. რაც უფრო დაძაბული ხდება ომის დღეები, ფაშიზმი მით უფრო განიცდის კრახს; მსოფლიო — ინგლისიდან ავსტრალიამდე, ამერიკის ქვეყნებიდან ჩინეთამდე მით უფრო ნათლად და გარკვევით ხედავს, რომ მუხანათური ომის ხანძარი, რომელიც გაგიჟებულმა ჰიტლერულმა ხროვამ თავს მოახვია ჩვენს წმინდათა-წმინდა სამშობლოს, თანდათან ჰბუგავს და წვავს თვით ფაშიზმს.

დღეს უკვე ყველა გარკვევით ხედავს, რომ ფაშისტური ბნელეთის ჯურღმულებში კაციჭამია ჰიტლერელების მიერ დეტალებამდე ვერაგულად დამუშავებული გეგმა საბჭოთა კავშირის „ელვისებური" დაპყრობისა — ჩაიფუშა. მთელი საბჭოთა ხალხი გმირულად აღსდგა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებით, სამართლიანი სამამულო ომი დაიწყო ჩვენს ქვეყანაზე მუხანათურად თავდამსხმელების წინააღმდეგ, რათა მოსპოს კაცობრიობისა და კულტურის დაუძინებელი მტერი — გამხეცებული ფაშიზმი.

ყველაფერი ფრონტისათვის! ყველაფერი მტერზე ჩვენი გამარჯვებისათვის! წინ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

აი რით სუნთქავს თვითეული საბჭოთა მოქალაქე დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

ისტორიაში არნახულ უზარმაზარ ძალად არის შეკრული მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც გმირული თავდადების, პატრიოტული მამაცობისა და ერთსულოვანი დარაზმულობის გასაოცარ მაგალითებს ჰქმნის. საბჭოთა პატრიოტიზმის ახალ-ახალი გამოვლინება აძლიერებს ფრონტს, ამაგრებს მის ზურგს. აი, მთელს ჩვენს ქვეყანას უდიდესი ძალით მოედო წითელი დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელების შესანიშნავი ინიციატივა, რომ შეიქმნას თავდაცვის სახალხო ფონდი. რამდენიმე დღე და ამ ისტორიულ ფონდში ათეულ მილიონობით მანეთები და ძვირფასი ნივთები შეიტანეს მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ.

თვითეული საბჭოთა მოქალაქის ღირსებად არის გადაქცეული დაეხმაროს ამ ისტორიული ფონდის გაძლიერებას და შეუჩერებელ გადიდებას! ამიტომ იყო, რომ ჩვენმა რკინიგზელებმა, რომლებიც ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავენ თავის ტრადიციულ დღესასწაულს, რომლებიც სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული ძალების მებრძოლი თანაშემწეები არიან, ახლა, სამამულო ომის ხანაში სამუშაო დღედ აქციეს თავიანთი დღესასწაული და 3 აგვისტოს ნამუშევრის ღირებულება მთლიანად შეიტანეს თავდაცვის ფონდში.

სოციალისტური საწარმოებიდან, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ველებიდან ყოველდღიურად მოდის გმირული შრომის აღმაფრთოვანებელი ცნობები. ჭეშმარიტად, გმირულ შრომაში იჭედება მტერზე გამარჯვება! სტახანოველები, მრავალდაზგოსნები, ლუნინელები, პროფესიათა შემთავსებლები — გუშინ ბევრი უჩინარი ადამიანი დღეს სახელგანთქმული მებრძოლი გახდა შრომისა და ბრძოლის ფრონტზე.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მტერი მუხანათი და ცბიერია. მისი მოსპობა ჯერ კიდევ მოითხოვს დიდ მსხვერპლს. მაგრამ საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია ხელმძღვანელობს, რომლის დიდ სამამულო ომს ფაშიზმის წინააღმდეგ სათავეში ჰყავს სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი დიდი სტალინი, არაფრის წინაშე არ შესდგება; იგი ყველაფერს გაიღებს, ყველაფერს გააკეთებს პირსისხლიანი ფაშიზმის მოსასპობად!

გავაათკეცოთ ჩვენი სიფხიზლე მტრის შესამუსრად!

მეომრის თავდადებით ვიმოქმედოთ შრომის ფრონტზე!

დაუნდობლად ვამხილოთ და დავსაჯოთ პანიკიორები, მოლაყბენი, უდარდელი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ამ აღმაშფოთებელი საქციელით მხოლოდ მტრის საქმეს აკეთებენ, მკაცრად დავსაჯოთ ისინი!

ყოველდღიურად გავაძლიეროთ თავდაცვის სახალხო ფონდი, რომელიც მტრისთვის სასიკვდილო ლახვარია! ფონდში შევიტანოთ ჩვენი დანაზოგები, ფული, ობლიგაციები, ძვირფასი ნივთები!

ეს არის ზურგის დახმარება ფრონტისადმი; ეს მოეთხოვება თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს!

ფაშიზმი მოსპობილ იქნება! მის განადგურებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ჯოჯოხეთური მანქანა, თავაწყვეტილი ფაშისტური მხეცის ვერავითარი ღრიალი.

ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვებისათვის!

ამ დიადი ლოზუნგებით იბრძვიან საბჭოთა ადამიანები ზურგში და ფრონტზე; და სანამ ფაშიზმს არ მოვსპობთ, ამ ლოზუნგებით ვივლით **წინ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის!**

თავდაცვის ფონდში

მძლავრი პატრიოტული აღფრთოვანება

დღითი-დღე ფართოვდება საბჭოთა პატრიოტების შესანიშნავი მოძრაობა სამშობლოს თავდაცვის ფონდის შესაქმნელად. ათასობით მოქალაქე თავდაცვის ფონდში შეაქვს ფული, ძვირფასი ნივთები, სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები, ერთი დღისა და ორი დღის ხელფასი.

სტალინგრადის ტრაქტორმშენებელთა კოლექტივმა ბანკში უკვე შეიტანა 280 ათასი მანეთი, ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის" კოლექტივმა — 84 ათასი მანეთი.

ამ დღეებში ორჯონიკიძის სახელობის მეტალურგიული ქარხნის (დონბასი) დირექციამ გამოაცხადა 130 დიასახლისი და ითხოვა მიეცათ მათთვის სამუშაო. პირველსავე დღეს მათ ჩატვირთეს 18 ვაგონი ნედლეული ბრძმედის საამქროსათვის და 1.500 მანეთი გამოიმუშავეს. პატრიოტმა ქალებმა მთელი ფული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს.

ხაბაროვსკში თავდაცვის ფონდში გადარიცხულმა თანხამ 1.000.000 მანეთს მიაღწია. ამ მხარის მშრომელნი ენთუზიაზმით მონაწილეობენ სახალხო ფონდის შექმნაში. ალიანსის თევზკომბინატის კოლექტივმა თავდაცვის ფონდს თავისი 7 დღის ხელფასი გადასცა.

ასტრახანის ოლქის ენოტაევსკის რაიონის კუიბიშევის სახელობის არტელის წევრებმა მეომრებისათვის მოქსოვეს 1.000 წყვილი მატყლის ხელთათმანი, 1.000 წყვილი წინდა, მოთელეს 100 წყვილი თექის ჩექმა, გააკეთეს დიდძალი ხელჯაგი, კურტაკი და ბეწვეულის ჟილეტი. ნარიმანოვის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩააბარეს 400 სული პირუტყვი და ასობით ცენტნერი შერია, ბრინჯი, ბოსტნეული, თევზი და დიდძალი კარაქი. სარეწაო არტელ „კოოპსტეკლოს" წევრებმა მათი კუთვნილი მოგებიდან 16 ათასი მანეთი შეიტანეს (საკდესი).

შეტანილია 937.627 მანეთი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ცნობით, თბილისის მშრომელებმა 5 აგვისტოსათვის თავდაცვის ფონდში შეიტანეს სულ 854.336 მანეთი. აქედან 212.015 მანეთი ნაღდ ფულად, 75.216 მანეთი გადარიცხვის წესით და 567.105 მანეთის ობლიგაციები.

ფულადი სახსრების გარდა ამავე რიცხვისათვის თავდაცვის ფონდში შეტანილი იყო 13,25 გრამი ოქრო, 3,15 გრამი პლატინა, 3.329,3 გრამი ვერცხლი.

რესპუბლიკის 13 რაიონიდან მიღებული ცნობებით, თავდაცვის ფონდში შეტანილი თანხა 83.291 მანეთს უდრის.

თავდაცვის ფონდში დანაზოგების შეტანა წარმატებით გრძელდება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფროსი შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭოს და ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი გადაეცეს:

1. უმცროს ლეიტენანტს დიმიტრი ალექსანდრეს-ძე **ზაიცევს**.
2. უფროს ლეიტენანტს ივანე ივანეს-ძე **ივანოვს**.
3. კაპიტან ნიკოლოზ ანდრიას-ძე **სდობნოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 2 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელარმიელ ი. ხ. კოლჩაკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭოს და ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი გადაეცეს წითელარმიელ იაკობ ხარიტონის-ძე კოლჩაკს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 2 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მე-72 საკავალერიო პოლკის, მე-108 საკავალერიო პოლკის და მე-12 ცალკე ცხენოსან-საარტილერიო დივიზიონის „წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან გამბედაობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

„წითელი დროშის" ორდენით:

მე-72 საკავალერიო პოლკი
მე-108 საკავალერიო პოლკი
მე-12 ცალკე ცხენოსან-საარტილერიო დივიზიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 2 აგვისტო.

წითელი არმიის უფროსი შემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებებით, გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან სიმამაცისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — 20 კაცი,

„წითელი დროშის" ორდენით — 128 კაცი,

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით — 85 კაცი,

მედლით „მამაცობისათვის" — 21 კაცი,

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" — 21 კაცი (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ბ-ნი ჰოპკინსი

მოსკოვიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ ფრანკლინ დ. რუზველტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჰოპკინსი, ბრიგადის გენერალ ბ-ნ მაკ ნარნის თანხლებით.

მოსკოვში ბ-ნი ჰოპკინსი გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ, კოლეგიის წევრმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალურმა მდივანმა ამხ. ა. ა. სობოლევმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. პ. პრონინმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგემ ამხ. გ. ნ. ზარუბინმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ამხ. ვ. ნ. რევიაკინმა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა, მეორე რანგის კაპიტანმა ამხ. ი. ა. ზაიცევმა, სსრ კავშირში არსებულ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შემადგენლობამ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ შტეინჰარდტის მეთაურობით, დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა სტაფორდ კრიპსმა, დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის წევრებმა გენერალ-ლეიტენანტ ბ-ნ მაკფარლანის მეთაურობით და სხვ.

საზღვრამდე ბ-ნი ჰოპკინსი გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვმა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ამხ. ვ. ნ. ევსტიგნეევმა.

ფინეთის ხელისუფალთა თვითნებობა ფინეთიდან საბჭოთა დიპლომატების ევაკუაციის დროს

სტოკჰოლმი, 31 ივლისი. (საკდესი). აქ მიღებულია ცნობები იმ უხეში თვითნებობისა და აღმაშფოთებელი უწესობების შესახებ, რასაც ფინეთის ხელისუფალნი სჩადიოდნენ იმ დროს, როდესაც ფინეთიდან ხდებოდა ევაკუაცია სსრ კავშირის დესპანისა და საბჭოთა დიპლომატიური მისიის წევრებისა, რომლებიც ფინეთიდან წამოვიდნენ იმის გამო, რომ ფინეთი ომში ჩაება. ფინეთის ხელისუფლებამ და პოლიციამ მხედველობაში არ მიიღო საბჭოთა დესპან ორლოვის კანონიერი მოთხოვნა, რომ დაეცვათ ევაკუაციის ელემენტარული პირობები, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ნორმებითა და ჩვეულებებით. პოლიციამ ძალადობას მიმართა და ევაკუირებული საბჭოთა დიპლომატები იძულებით ჩასხა ავტომანქანებში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სახლი, სადაც საბჭოთა დიპლომატები ცხოვრობდნენ პოლიციის მიერ იყო გარშემორტყმული, კიდევ უფრო დასაჯერებელია, რომ აქ მოხდა არა ევაკუაცია, არამედ უხეში პოლიციური გადასახლება.

საბჭოთა დესპანისა და საბჭოთა მისიის თანამშრომლების მიმართ ამ უწესობების გარდა, ფინეთის მთავრობა, რომელიც ელემენტარულ საერთაშორისო ჩვეულებებს არღვევს, კვლავ ძალით აკავებს ფინეთში 23 საბჭოთა ინჟინერს და სხვა თანამდებობის პირს, რომლებიც ფინეთში იმყოფებოდნენ როგორც საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთის ფირმებისათვის მიცემული შეკვეთების საქმეზე. ეს უწესოება იქამდე მივიდა, რომ ფინელებმა 23-ვე საბჭოთა მოქალაქე საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს იმის მიუხედავად, რომ ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა შვეციის დესპანმა ფინეთში ვესტმანმა. კიდევ მეტი, ფინეთის პოლიციამ უხეშად გაისტუმრა საბჭოთა მისიიდან ფინეთში აკრედიტებული შვეციის დესპანის ორი წარმომადგენელი, რომლებიც აღნიშნულ 23 საბჭოთა ინჟინერთან იყვნენ გაგზავნილი.

საბჭოთა მთავრობის ცდა უზრუნველეყო, რომ ეს საბჭოთა სამეურნეო მუშაკები თავისუფლად წამოსულიყვნენ ფინეთიდან საბჭოთა მისიასთან ერთად, უშედეგოდ დამთავრდა და ეს შეუძლებელს ხდის მისიების გაცვლას იმის მიუხედავად, რომ ყველა სხვა ქვეყანასთან მისიების გაცვლა უკვე მოხდა.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე 3 აგვისტოს ღამით

3 აგვისტოს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავების რამდენიმე ჯგუფი შეეცადა თავს დასხმოდა მოსკოვს. ქალაქისაკენ დიდ სიმაღლეზე ცალკეული თვითმფრინავები გამოიჭრნენ, დანარჩენები კი ღამის ავიაგამანადგურებლებმა და ჩვენი საზენიტო ბატარიების ცეცხლმა გაჰფანტეს.

ხანძარი, რომელიც რამდენიმე საცხოვრებელ შენობას გაუჩნდა, სწრაფად იქნა ჩაქრობილი. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა.

4 აგვისტოს ღამით მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის ცდა

4 აგვისტოს ღამით გერმანიის თვითმფრინავების რამდენიმე ჯგუფმა სცადა მოსკოვზე თავდასხმა.

მოსკოვისაკენ შემოიჭრა 1-2 თვითმფრინავი, დანარჩენი გაფანტულ იქნენ ღამის ავიაგამანადგურებლების მიერ და საზენიტო ბატარიების ცეცხლით. ჩამოგდებული ცეცხლწამკიდი ყუმბარები დაუყოვნებლივ იქნა უვნებელყოფილი. ხანძარსა და დაზიანებას ქალაქში ადგილი არ ჰქონია. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. ჩვენს ავიაციას დანაკლისი არ ჰქონია.

(მიღებულია რადიოთი საქ-რადიოკომიტეტის მიერ).

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 2 აგვისტოს შესდგა, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ განაცხადა:

დღეს, ღამით, სწორედ 6 კვირა სრულდება მას შემდეგ, რაც ჰიტლერის გერმანია უეცრად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ამ უეცარ თავდასხმას დიდხანს, გულმოდგინედ და სისტემატურად ამზადებდნენ. გერმანელებმა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე თავი მოუყარეს უზარმაზარ ძალებს, იაპონურ გაზეთ „ასახის" სიტყვით — 248 დივიზიამდე, რუმინეთისა და ფინეთის დივიზიების ჩათვლით, რომ არ ვიანგარიშოთ უნგრეთისა და სლოვაკიის ჯარების ნაწილები.

უწვრილმანეს დეტალებამდე იყო დამუშავებული გეგმა ელვისებური ომისა, რომელსაც ორსამ კვირაში უნდა შეემუსრა საბჭოთა კავშირი და შესაძლებლობა უნდა მიეცა ჰიტლერისათვის აღმოსავლეთში ძლევამოსილი კამპანიის შემდეგ თავისი ძალები მიემართნა ინგლისის წინააღმდეგ, მერე კი — ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

თავდაპირველად გერმანელები იუწყებოდნენ, ყველაფერი „გეგმის მიხედვით" მიმდინარეობსო. 26 ივნისს ფაშისტთა რადიომ გამოაცხადა — „საბჭოთა ჯარები მთლად განადგურებულია და შემდგომი წინააღმდეგობის უნარი არ შესწევსო". 30 ივნისს გერმანელებმა მთელ მსოფლიოს ამცნეს, „მთელი საბჭოთა ავიაცია მოსპობილიაო". 7 ივლისს გერმანელებმა გამოაცხადეს: „სსრ კავშირმა მთელი თავისი რეზერვები ამოსწურაო"; 13 ივლისს დიდის ამბით გამოაცხადეს, რომ „საბჭოთა ფრონტი ყველა გადამწყვეტ ადგილას გარღვეულიაო" და რომ „ლენინგრადისა, მოსკოვისა და კიევისაკენ მიმავალი გზა გახსნილიაო".

თითქოს, მთელი საქმე რიგზე მისდიოდათ. მაგრამ აი, უკანასკნელ კვირეებში გერმანულმა გაზეთებმა, გერმანულმა რადიომ, გერმანელთა სარდლობამ, ხოლო მათ კვალდაკვალ რომში, ჰელსინკში და სხვაგან მყოფმა ყველა მათმა აგენტებმა დაიწყეს მტკიცება, რომ ბრძოლა აღმოსავლეთის ფრონტზე რაღაც სულ სხვა რამ არის, ვიდრე ბრძოლა დასავლეთის ფრონტზე. გერმანელები თვითონ იძულებული იყვნენ ამა თუ იმ ფორმით უარეყოთ ყველა ცნობა კიევის დაპყრობის, ლენინგრადში შესვლისა და მოსკოვისაკენ წინსვლის შესახებ.

ცხადი რომ გავხადოთ, თუ რამდენად ყალბია გერმანული პროპაგანდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ გერმანული წყაროების შემდეგ, ერთიმეორის საწინააღმდეგო, განცხადებებს.

1. 30 ივნისი. „ერთი თუ ორი დღის წინათ ჩვენ რუსების უკანდახევაზე ვლაპარაკობდით, ახლა რუსები უწესრიგოდ გარბიან" (გერმანული რადიო).

26 ივლისი. „რუსეთის უმაღლესი სარდლობა გერმანელთა შეტევას თავიდანვე კონტრიერიშებითა და კონტრშემოტევით უპასუხებდა" („ფრანკფურტერ ცაიტუნგი").

2. 30 ივნისი. „საბჭოთა ავიაციამ ბრძოლაში თითქმის მთელი თავისი ძლიერება დაჰკარგა. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში გერმანელთა ოპერაციები გაძნელებული არ იქნება საბჭოთა ავიაციის მოქმედებით" (რომის რადიო, ბერლინის დამოწმებით).

25 ივლისი. „რუსების ყუმბარები გერმანელებს ხელს უშლიდნენ განეხორციელებინათ ზოგიერთი ოპერაცია" (გერმანული რადიო).

3. 17 ივლისი. „რუსეთის უმაღლესმა სარდლობამ თავისი უკანასკნელი რეზერვები ჩააბა ბრძოლაში" (გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა).

24 ივლისი. „რუსეთის უმაღლეს სარდლობას უზარმაზარი რეზერვები მოეპოვება და კიდევ შეიძლება მობილიზებულ იქნან რუს ჯარისკაცთა დიდი მასები და გამოყვანილ იქნან გერმანიის ჯარების წინააღმდეგ" („ნაციონალცაიტუნგი").

4. 17 ივლისი. „რუსეთის ტანკები ტექნიკური თვალსაზრისით მდარე ხარისხისაა" („ფრანკფურტერ ცაიტუნგი").

27 ივლისი. „რუსეთის საჭურველი უფრო თანამედროვეა, ვიდრე ყველა იმ მოწინააღმდეგის საჭურველი, რომლებთანაც გერმანიის არმიას დღემდე საქმე ჰქონია" (გერმანული რადიო).

ბერლინიდან გადაცემულ თავის რადიომიმოხილვაში ფრიტჩემ 30 ივლისს განაცხადა, რომ „მოსკოვზე ლაშქრობა, რასაც გერმანიის არმია ახორციელებს, არაფერს არ მისცემს გერმანელ ხალხს მანამდე, სანამ მოწინააღმდეგის ცოცხალი სამხედრო ძალა მოსპობილი არ იქნება".

ეს იმას ნიშნავს, რომ „ელვისებური ომი" არ გამოუვიდათ.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ „უძლეველი" გერმანული ჯარები წააწყდნენ წითელი არმიის გააფთრებულ წინააღმდეგობას, გააფთრებულ და წარმატებით კონტრიერიშებს.

შეგვიძლია ათასობით ამონაწერი მოვიყვანოთ მოკლულთა წერილებიდან, ტყვეთა განცხადებებიდან, მსოფლიო პრესის განცხადებებიდან, რომლებშიც, ბოლოს, სწორად არის შეფასებული არა მარტო მამაცობა, თავგანწირულობა და ინიციატივა ჩვენი მეომრებისა, არამედ საბჭოთა ავიაციის, საბჭოთა სატანკო ნაწილებისა და საბჭოთა სამხედრო სარდლობის ტაქტიკის მაღალი ხარისხიც.

ახლა ნათელი ხდება, რომ ერთია „ელვისებური ლაყბობა" და სულ სხვაა საქმე, „ელვისებური" ომი. გერმანიის არმია აღმოსავლეთის ფრონტზე ჩაფლო. მას უდიდესი ზარალი მოსდის ადამიანთა მხრივ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მილიონნახევარს, უდიდესი ზარალი მოსდის მასალების მხრივაც.

ბრძოლის ყოველი დღე აახლოებს გერმანიის არმიის დამარცხებას და ჰიტლერის გერმანიის კატასტროფას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(2 აგვისტოს საღამოს ცნობა)

2 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ მოწინააღმდეგესთან **პორხოვის, სმოლენსკის, კოროსტენისა** და **ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის **ესტონეთის** უბანზე.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო.

ბალტიის ზღვაში ჩვენმა გემებმა და ავიაციამ იერიში მიიტანეს გერმანელთა 8 ტრანსპორტზე, რომლებსაც 5 ნაღმოსანი იცავდა. წინასწარი ცნობების თანახმად, მოსპობილია მოწინააღმდეგის 1 ნაღმოსანი და 1 ტრანსპორტი, დაზიანებულია 2 ნაღმოსანი და 1 ტრანსპორტი. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა გაბრუნებულიყო ისე, რომ თავისი ამოცანა ვერ შეასრულა. ჩვენ ზარალი არა გვქონია.

ჩვენს ავიაციას ხმელეთის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით იერიში მიჰქონდა მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ. პირველი აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 41 თვითმფრინავი. ჩვენ 19 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

31 ივლისის განმავლობაში გერმანელთა თვითმფრინავები რამდენჯერმე შეეცადნენ მცირე ჯგუფებად შემოჭრილიყვნენ ლენინგრადში, მაგრამ ჩვენმა ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ ისინი უკუაგდო.

* * *

ორი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ **ნ** საბჭოთა პოლკმა, რომელსაც პოლკოვნიკი გლაგოლევი მეთაურობს, იერიში მიიტანა და გამოდევნა მოწინააღმდეგე შ-ს რაიონიდან. ამ ბრძოლაში მოკლულ და დაჭრილ იქნა 1.200 გერმანელი, ტყვედ წამოყვანილია 600 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნადავლს შორის არის 6 ქვემეხი, 19 დაზგის ტყვიამფრქვევი, 4 ტანკი, 5 ნაღმტყორცნი, 12 ავტომანქანა და 2 საბატალიონო რადიოსადგური. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელმა არტილერისტებმა დაკითხვისას განაცხადეს, რომ ფაშისტთა ჯარის ნაწილები ჭურვების უკიდურეს ნაკლებობას განიცდიან. გერმანელთა არმიის შტაბის სპეციალური ცირკულარით მეთაურები გაფრთხილებული არიან, რომ საჭიროა საომარი მასალის მომჭირნეობის გაწევა, რადგან ფრონტზე მისი მიზიდვა უდიდეს სიძნელესთან არის დაკავშირებული.

* * *

ლეიტენანტ პლიუენიკოვის ქვედანაყოფის მებრძოლთ **ნ** ნაწილში ღირსეულად უწოდებენ „ცისტერნების გამანადგურებლებს". რამდენიმე დღის განმავლობაში მათ ფაშისტთა ზურგში მოსპეს ბენზინის 8 ავტოკოლონა, რომლებიც ცდილობდნენ წითელი არმიის მიერ გარშემორტყმული გერმანელი სატანკო ჯარებისაკენ გაჭრილიყვნენ. განსაკუთრებით მამაცურად მოქმედებენ სერჟანტი კრასნოპეროვი და წითელარმიელები ხავკი და ტიუშკოვი. ამ დღეებში ამხ. კრასნოპეროვმა შენიშნა, რომ ავტოკოლონა მოდიოდა; იგი ბუჩქებს მოეფარა გზის პირას. მებრძოლებმა გზაზე მორები და ქვა დაჰყარეს და კოლონის მოახლოებას უცდიდნენ. როდესაც ავტომანქანები დახორგილ ადგილას შეჩერდნენ, ავტოცისტერნებს ყოველი მხრიდან დააყარეს ხელყუმბარა. მამაცმა მებრძოლებმა გერმანელთა 16 ბენზინის ცისტერნი მოსპეს.

შოფერები და გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც კოლონას ახლდნენ, დახოცილ იქნენ.

* * *

მეტყვიამფრქვევე წითელარმიელმა სევასტიანოვმა თეთრფინელ ჯარისკაცთა ჯგუფი შენიშნა; იგი ახლო მიხოხდა ამ ჯგუფთან და სროლა აუტეხა. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა მტერმა უწესრიგოდ იწყო უკანდახევა. ამხ. სევასტიანოვი შეუმჩნევლად გაჰყვა უკანდახეულ ჯგუფს, ზურგიდან მოუარა და კვლავ აუტეხა სროლა. ამ ბრძოლაში მამაცმა წითელარმიელმა 18 თეთრფინელი მოჰკლა.

* * *

ლეიტენანტ კოტელევსკის ოცეული მონაწილეობას იღებდა თეთრფინელების წინააღმდეგ შეტევაში. ერთერთი კონტრიერიშის დროს ფაშისტმა ოფიცერმა ხელყუმბარა ესროლა ამხ. კოტელევსკის. ლეიტენანტმა ჰაერში დაიჭირა ხელყუმბარა და უკანვე ესროლა თეთრფინელებს. ყუმბარის აფეთქების შედეგად მეწყობრიდან გამოყვანილი იქნა მოწინააღმდეგის დიდი ჯგუფი, სულ ამ ბრძოლაში ამხ. კოტელევსკის ოცეულმა 100-ზე მეტი თეთრფინელი მოსპო.

* * *

ფაშისტთა 6 თვითმფრინავი „ჰაინკელ-111" ქალაქ მ-სთან მოფრენას ცდილობდა. ლეიტენანტების — კუზნეცოვისა და ანტიპინის საბჭოთა ჩქარმა ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც ღრუბლებს იქით ბადრაგობდნენ, შენიშნეს, რომ მტრის ყუმბარმშენების ახლომყოფმა ავიაგამანადგურებელმა „მესერშმიდტმა" მოულოდნელად იერიში მიიტანა ფაშისტთა ყუმბარმშენზე და გერმანელთა 1 თვითმფრინავი ჩამოაგდო. ჩვენი ავიაგამანადგურებლები დაუყოვნებლივ დაეხმარნენ გერმანელ მფრინავ-გამანადგურებელს და კიდევ სამი „ჰაინკელი" ჩამოაგდეს. ფაშისტთა ორი ყუმბარმშენი ღრუბლებში მიიმალა. „მესერშმიდტის" პილოტი, ლეიტენანტი ედუარდ კრომი საბჭოთა ავიაგამანადგურებლების თანხლებით დაეშვა **ნ** ავიანაწილის აეროდრომზე და წითელ არმიას ჩააბარა თავისი თვითმფრინავი. კრომმა განაცხადა, რომ ამ დღეებში ანტიფაშისტური აზრების გამოთქმისათვის დახვრეტილი იქნა მისი საავიაციო ნაწილის 4 მფრინავი.

* * *

სოფელ ო-სთან გერმანელთა ბატალიონის განადგურების შემდეგ ჩვენმა ჯარის ნაწილებმა სასურსათო საწყობი აღმოაჩინეს, რომელშიც კონსერვების მარაგი ინახებოდა. ტყვე ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ეს კონსერვები ჰოლანდიიდან იყო მიღებული, მაგრამ გამოყენებული არ იქნა, რადგანაც ქილებში მოთავსებული თევზი და ხორცი აყროლებული აღმოჩნდა. თვითეულ კონსერვის ქილას რამდენიმე თითქმის შეუმჩნეველი ნახვრეტი ჰქონდა, რომლებიც, როგორც სჩანს, ფაბრიკაშივე იყო გაკეთებული ჰოლანდიელი მუშების მიერ. ტყვე ჯარისკაცები ამბობენ, რომ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ეს მეხუთე პარტიაა კონსერვებისა, რომელიც საჭმელად უვარგისი აღმოჩნდა.

* * *

აღმოსავლეთის ფრონტზე განუწყვეტელმა ბრძოლამ სრულიად მოჰქანცა გერმანელთა ბევრი ჯარის ნაწილი. გერმანელთა მე-16 დივიზიის ტყვე ჯარისკაცები ამბობენ, რომ მათ დღე-ღამეში ორ საათზე მეტი არ უხდებოდათ ძილი. გერმანელებს რეზერვები ახლო არა ჰყავთ, რის გამო შეუძლებელი ხდება ჯარის წინა პოზიციებიდან ზურგში გადაყვანა დასასვენებლად. ხანგრძლივი შიმშილის, ალკოჰოლის უზომო ხმარებისა და მომქანცველი ბრძოლების შედეგად გერმანიის არმიაში მასობრივად იჩენს თავს შეშლილობის შემთხვევები. გერმანელთა მე-16 დივიზიის ტყვე ჯარისკაცთა შორის ფსიქიურად დაავადებული 19 ჯარისკაცი და ოფიცერი აღმოჩნდა.

* * *

ფაშისტები კვლავ მხეცურად აწამებენ ტყვედ ჩავარდნილ დაჭრილ წითელარმიელებს. დაბა ზაბოლოტიესთან გერმანელებმა ბრძოლის ველზე ტყვედ ჩაიგდეს 17 დაჭრილი წითელარმიელი. მათ სამ დღეს არ აძლევდნენ წყალსა და საჭმელს. მეოთხე დღეს სცადეს ფეხზე დაეყენებინათ ღონემიხდილი მებრძოლნი ფაშისტ კინოოპერატორების წინ და ეყვირებინათ „ჰაილ ჰიტლერ!" ამისათვის ჰებელსის პროპაგანდისტები დაჭრილებს დაჰპირდნენ, რომ აჭმევდნენ მათ და სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენდნენ. არცერთმა მებრძოლმა არ შეასრულა ეს ბინძური ბრძანება. მაშინ 17-ვე წითელარმიელი, რომლებიც სისხლით იცლებოდნენ, ტელეგრაფის ბოძებს მიაკრეს. ტყვე წითელარმიელები 12 საათის განმავლობაში იდგნენ მოედანზე მცხუნვარე მზის გულზე. სამი მათგანი სისხლით დაიცალა და გარდაიცვალა. დანარჩენი 14 წითელარმიელი გადაარჩინა უფროს ლეიტენანტ რიბინის სატანკო ქვედანაყოფმა, რომელიც ღამით შემოიჭრა დაბაში და გაანადგურა ფაშისტთა ჯარის ნაწილი.

* * *

უმაგალითო აღფრთოვანებით მუშაობენ საბჭოთა ნავთის მუშაკები დიადი სამამულო ომის დღეებში, რომელიც ჰიტლერელთა ბანდების წინააღმდეგ მიმდინარეობს. ტრესტ „მოლოტოვნეფტის" მე-5 სარეწის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ნავთის ამოღების 9 თვის გეგმა. ტრესტ „აზიზბეკოვნეფტის" ბრიგადის მბურღავი ამხ. ბოიკო ცვლაში 4 ნორმაზე მეტს იძლევა. ბურღვის 7 თვის გეგმა ტრესტმა ვადაზე 22 დღით ადრე შეასრულა. ბაქოს ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის" ყველა სარეწში სახელი აქვთ მოხვეჭილი რ. ნახაპეტოვის ბრიგადის სტახანოველებს, რომლებიც სისტემატური გადაჭარბებით ასრულებენ ნავთის ამოღების გეგმას. ბრიგადამ საკუთარი ძალებით აამუშავა უმოქმედოდ მყოფი ჭაბურღილი და, გარდა ამისა, შეაკეთა 2 ჭაბურღილი. უწინ ტუმბოს შეცვლას 18 საათი სჭირდებოდა, ახლა ეს მუშაობა 10 საათის განმავლობაში სრულდება. „ასფალტის მთის" სარეწის ახალგაზრდათა ვახტმა არასამუშაო დროს აღადგინა ძველი ჭაბურღილი. ამჟამად ჭაბურღილი დღე-ღამეში 40-ზე მეტ ტონა ნავთს იძლევა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(3 აგვისტოს დილის ცნობა)

2 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტერთან ბრძოლებს **სმოლენსკის, კოროსტენის, ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის **ესტონეთის** უბანზე.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ჯარების მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენს ავიაციას, რომელიც კვლავ სახმელეთო ჯარებთან ერთად მოქმედებს, იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ.

* * *

სოფელ ქ-სთან კაპიტან იურინის ქვედანაყოფის კავალერისტებმა ფლანგიდან დაარტყეს რუმინეთის ცხენოსან პოლკს. რუმინელებმა დარტყმას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. 5 კილომეტრზე სდიეს ჩვენმა მეომრებმა მტრის ცხენოსან ჯარს. ბრძოლის ველზე

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

დარჩა ასობით დაჩეხილი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლაში კარგად მოქმედებდნენ წითელარმიელი კავალერისტები სილცოვი და გორიუნოვი. თვითეულმა მათგანმა რამდენიმე ჯარისკაცი ასჩეხა. ესკადრონის მეთაურმა ლეიტენანტმა სოლოხოვმა 4 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი მოსპო. ნადავლს შორის არის 211 ცხენი, 11 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალები.

* * *

გერმანიის მოტორიზებული ჯარი პონტონის ხიდების დახმარებით მდინარე ნ-ზე გადმოვიდა და იერიში მოიტანა ჩვენს 6 ნაწილზე, რომელიც დ-ს რაიონში მდებარეობს. ძლიერი კონტრიერიშით მტერი უკუგდებულ იქნა. ჩვენი ჯარის ნაწილი შეტევაზე გადავიდა და მტერი მდინარისაკენ უკუაგდო. ამ დროს ფაშისტთა ზურგში მომქმედი ლეიტენანტ სნეგირევის ქვედანაყოფის მეომრებმა ააფეთქეს კაშხალი, რომელიც მტრის გადასასვლელის ზემოთ ერთ კილომეტრზე მდებარეობდა. წყალმა პონტონის ხიდი გაგლიჯა და დიდი სივრცე დაჰფარა. გერმანელების უკანდასახევი გზა მოჭრილი იყო. ნ ნაწილის მეტყვიამფრქვევეები პირდაპირი დაშენით ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალას და მწყობრიდან გამოჰყავდათ მტრის ავტომანქანები და საცეცხლო წერტები. ბრძოლა მტრის სრული განადგურებით დამთავრდა. მოკლულია და მდინარეში დაიხრჩო სულ ცოტა 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მწყობრიდან გამოყვანილია 40-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა. ტყვედ ჩავიგდეთ 120 კაცი, მათ შორის 6 ოფიცერი.

* * *

საბჭოთა სატორპედო კატარღების რაზმმა უფროს ლეიტენანტ ტომილინის მეთაურობით ბალტიის ზღვაში ჩასძირა მტრის ტანკერი და 2 სატრანსპორტო გემი 18 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში წითელარმიელებმა ნეჩაევმა და არტემიევმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით დააზიანეს მტრის 3 ტანკი და 4 ჯავშნიანი მანქანა. ამ დღეებში ამხ. ნეჩაევმა და არტემიევმა ხელთ იგდეს ფაშისტთა 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი ჭურვებითურთ, რომლებიც უკანდახეულ მტერს დაუშინეს.

* * *

ფაშისტთა სატანკო ნაწილებს დიდ ზარალს აყენებენ ამხ. მოროზის ქვედანაყოფის მეომრები— ტანკების გამანადგურებლები. მარტო ერთი ბრძოლის დროს მათ ხელყუმბარების კონებით გერმანიის 13 მანქანა მოსპეს.

* * *

პარტიზანული მოძრაობა, რომელიც სულ უფროდაუფრო ფართოვდება ფაშისტთა ზურგში, შიშსა და შეშფოთებას იწვევს გერმანიის ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურებს შორის. ამას მოწმობს, მაგალითად, გერმანიის მე-212 ქვეითი პოლკის მეორე ბატალიონის მეთაურის მაიორ ვოლფის ბრძანებანი, რომლებიც ხელში ჩაიგდეს ჩვენმა ნაწილებმა. ერთერთ ბრძანებაში ნათქვამია: „რაიონში რუსი პარტიზანები მოქმედებენ. წინადადებას გაძლევთ, ინსტრუქტაჟი გაუწიოთ გუშაგებს, გაანაწილოთ ისინი თანახმად თანდართული სქემისა და გააძლიეროთ ყარაულები ტყვიამფრქვევებით". რამდენიმე დღის შემდეგ მაიორი ვოლფი ბრძანებას იძლევა მიიღონ სიფრთხილის დამატებითი ზომები: „წინადადებას ვაძლევ ასეულების მეთაურებს ხელმეორედ აუწყონ მთელს პირად შემადგენლობას, რომ დალამების შემდეგ ჯარისკაცები ბანაკიდან შეუძლიათ გაუშვან მხოლოდ შეიარაღებულნი და ჯგუფ-ჯგუფებად, რომლებშიც 7-10 კაცი მაინც უნდა იყოს". ტყვე ჯარისკაცმა გერმანიის მე-260 ქვეითი პოლკის მეორე ასეულიდან იოსებ რაინერმა გვიამბო: „ბრძოლა, რომლის დროსაც მე ტყვედ ჩავვარდი, ჩემი ასეულისათვის პირველი ბრძოლა იყო. მაგრამ უკვე ამ ბრძოლამდე ჩვენ გზაში სროლა აგვიტეხეს პარტიზანებმა, რომლებმაც 20-ზე მეტი ჩვენი ჯარისკაცი მოჰკლეს და დასჭრეს". მე-268 ქვეითი პოლკის მეხუთე ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ჰანს რიტჰელმა განაცხადა: „მარშების დროს ჩვენ ხშირად გვესროდნენ, დიდი ზარალი მოგვდიოდა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ერთხელ ასეთი სროლის დროს კოლონაში პანიკა შეიქმნა, ჩვენ ჩვენიანებს ვესროდით, რის შედეგადაც მოკლულ იქნა ბევრი გერმანელი ჯარისკაცი".

* * *

წითელი არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს გერმანიის მე-18 ქვეითი პოლკის მეთაურის ბრძანება, რომლიდანაც სჩანს, რომ გერმანიის ფაშისტურ არმიაში სარდლობა ხელს უწყობს და ავრცელებს მაროდერობას. პოლკის მეთაური წინადადებას აძლევს ოფიცრებს „თვალყური ადევნონ იმას, რომ დაკავებულ სოფლებსა და ქალაქებში ჯარისკაცებმა ჩამოუარონ მაღაზიებსა და სახლებს არა თითომ, არამედ 5-6 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად". ბრძანებაში ნათქვამია, რომ უგზოუკვლოდ დაიკარგა უნტერ-ოფიცერი რუდოლფ კელერი და მსროლელები შმალი, კუნცი და რაინჰარდტი, რომლებიც „მთელი კვირის განმავლობაში სოფლებსა და დაბებში დაწანწალებდნენ და მცხოვრებთ ართმევდნენ ყველაფერს, რაც მათ ძვირფასად მოეჩვენებოდათ". ფაშისტი პოლკოვნიკი სრულიადაც არა ჰგმობს მაროდერების საქციელს, ვინაიდან, როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, „სალად უნდა შევხედოთ საქმეს და გავიგოთ, რომ არაფერი დანაშაულია, როდესაც ჯარისკაცი ცდილობს მდგომარეობა შეუმსუბუქოს თავის ოჯახს, დაეხმაროს მას ამანათების გაგზავნით და უზრუნველჰყოს თავი მომავლისათვის". პოლკოვნიკი მხოლოდ ერთს რასმე მოითხოვს: „ახსოვდეთ აღმოსავლეთის ფრონტის თავისებურებანი და არ დაივიწყონ, რომ საჭიროა სიფრთხილის ზომების მიღება". ბრძანების დასასრულს პოლკოვნიკი გაფრთხილებას იძლევა, ნუ გამოიჩენენ გადაჭარბებულ სიხარბესა და გაუმაძღრობას, რაც მეტისმეტად გავრცელდა ზოგიერთ ჯარისკაცთა შორის და რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს. თუ ჯარისკაცები იოლ საშოვარს გაჰყვნენ, ეს მათ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას დაავიწყებს. ბევრი ბარგით დატვირთული ჯარისკაცი მოკლებულია მოძრაობის საშუალებას და ფიქრობს არა გამარჯვებაზე, არამედ იმაზე, რომ გადაარჩინოს თავისი დოვლათი. ცალკეული ჯარისკაცების ხანგრძლივი დროით მოწყვეტა თავის ნაწილებზე იწვევს არა მარტო სამხედრო დისციპლინის შესუსტებას, არამედ ამას თვით ჯარისკაცებისათვისაც დამღუპველი შედეგები მოსდევს".

* * *

პარიზში ნაციონალური დღესასწაულის — ბასტილიის აღების დღის — მორიგ წლისთავთან დაკავშირებით, უდიდესი პატრიოტული დემონსტრაცია გაიმართა. დიდ ბულვარებსა და ეტუალის მოედანზე მილიონამდე პარიზელი გამოვიდა. გერმანიის საოკუპაციო ხელისუფალთა მრისხანე განკარგულების მიუხედავად, ასიათასობით დემონსტრანტებმა თან მოიტანეს ნაციონალური ბაირაღები. ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ ათასობით პარიზელი ქალები. თვითეულ ჯგუფში იყო სამსამი ქალი, რომლებსაც ეცვათ ლურჯი, თეთრი და წითელი ტანისამოსი, რაც ნაციონალური ბაირაღის ფერს გამოხატავს. დემონსტრანტთა პირველი კოლონა მარსელიეზის სიმღერით მიდიოდა სტრასბურგის ბულვარიდან ბასტილიის მოედნამდე. მეორე კოლონამ დემონსტრაცია გამართა სევასტოპოლის ბულვარში. დემონსტრანტები სტვენით შეხვდნენ გერმანიის ჯავშნიან მანქანებსა და მოტოციკლისტთა რაზმებს, რომლებიც ქუჩებში გამოჩნდნენ. გერმანიის ჯარმა, რომელიც პოლიციასთან ერთად მოქმედებდა, მხოლოდ რიშელიეს ქუჩის გზაჯვარედინზე შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა.

* * *

სამამულო ომის დღეებში კოლმეურნე გლეხობა უხვ მოსავალს იღებს. კრასნოდარის მხარის ანაპის რაიონის კოლმეურნეობებმა ჰექტარზე 120-დან 135 ფუთამდე ქერის და ხორბლის მოსავალი აიღეს. კიროვის ოლქის კოტელნიჩის რაიონის კოლმეურნეები ერთიორად მეტ მოსავალს იღებენ, ვიდრე შარშან. ვალკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პერემოგაში" თვითეული ჰექტარი 110 ფუთს და მეტ ხორბალს იძლევა. მაღალ მოსავალს იღებენ ვორონეჟის ოლქის ნოვოხოპიორსკის რაიონის კოლმეურნეები. კოლმეურნეობა „კრასნი ვოსტოკში" ერთ ჰექტარზე მარცვლეულის მოსავალი სულ ცოტა 180 ფუთს შეადგენს.

დნეპროპეტროვსკის ოლქში სარეკორდო გამომუშავება მოგვცა ნიკოპოლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერმა ალექსანდრე ველიჩკომ. ორი „სტალინეცის" გადაბმით მან კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 65 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი აიღო და დაახლოებით ათასი ცენტნერი მარცვალი გალეწა. მოსავლის აღებაში კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევენ ქალაქების მშრომელები, მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, დიასახლისები. ორჯონიკიძის მხარის 23 რაიონში მინდვრის სამუშაოებზე 15 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი გამოვიდა. უმაგალითოდ უხვი, სტალინური მოსავალი თავის დროზე და უდანაკარგოდ იქნება აღებული.

მესამე ხუთწლედის სესხის ტირაჟი

გუშინ მოსკოვში კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა მესამე ხუთწლედის (პირველი წლის გამოშვება) სესხის მოგებათა მორიგი XI ტირაჟი. გათამაშებულია 83.240.600 მანეთის 518.500 მოგება. აქედან: 3-ათასმანეთიანი 61 მოგება, 1.000-მანეთიანი 305 მოგება, 500-მანეთიანი 3.050 მოგება, 200-მანეთიანი 79.300 მოგება და 150-მანეთიანი 435.784 მოგება.

3-ათასმანეთიანი მოგება ხვდა 41.939 სერიის № 10 ობლიგაციებს ამ სესხის ყველა 61 თანრიგში. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(3 აგვისტოს საღამოს ცნობა)

3 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტერთან ბრძოლას **სმოლენსკის, კოროსტენის, ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის **ესტონეთის** უბანზე. ფრონტზე ჯარების მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენს ავიაციას სახმელეთო ჯარებთან თანამოქმედებით კვლავ მიჰქონდა იერიშები მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ.

2 აგვისტოს განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩვენმა ავიაციამ მოსპო მტრის 31 თვითმფრინავი. ჩვენ დავკარგეთ 19 თვითმფრინავი.

2 აგვისტოს, ღამით, მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის დროს ჩამოგდებულია გერმანიის 2 თვითმფრინავი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია გერმანიის წყალქვეშა ნავი.

გამოირკვა, რომ 1 აგვისტოს, ღამით, ნავსადგურ კონსტანცაზე ჩვენი თვითმფრინავების თავდასხმის დროს ყუმბარები მოხვდა მცურავ დოკს, რომელშიც მტრის ნაღმოსანი იყო, და ნავსაყუდელში მდგომ გემებს.

* * *

მაიორ ლენიუჩევის სატანკო ნაწილი ღრმად გაიჭრა მტრის ზურგში და მოსპო ფაშისტთა ავტოკოლონა, რომელიც საომარი მასალითა და სურსათით დატვირთული 240 მანქანისაგან შესდგებოდა. გზატკეცილი 5 კილომეტრზე მოფენილია დასახიჩრებული გერმანული მანქანებით.

სამმა საბჭოთა ყუმბარმშენმა, რომლებსაც პილოტობდნენ ამხ. ვასიაკინი, ბოგატოვი და ლაზო, მტრის აეროდრომი აღმოაჩინა. ჩვენმა მფრინავებმა დაბლა ფრენით ყუმბარა დაუშინეს აეროდრომს. ცეცხლი გაუჩნდა გერმანელთა 10 თვითმფრინავს და დაზიანდა 15-მდე თვითმფრინავი.

* * *

კაპიტან სინიაგოვსკის საარტილერიო დივიზიონს თავს დაესხნენ გერმანელთა ტანკების კოლონები. დივიზიონმა ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების მარჯვე სროლით მოიგერია მოწინააღმდეგის რამდენიმე გააფთრებული იერიში. ფაშისტებმა ბრძოლის ველზე 37 დამტვრეული ტანკი დასტოვეს და უკუიქცნენ.

* * *

საბჭოთა წყალქვეშა ნავმა ნორვეგიის ნავსადგურ ვარდეს მახლობლად ჩასძირა გერმანიის 8 ათასი ტონა წყალწყვის გემი. გემს გერმანია-ფინეთის არმიისათვის იარაღი და საომარი მასალა მიჰქონდა.

* * *

ჟიტომირის მიმართულებით მომქმედი ნ შენაერთის დიდმა სატანკო ნაწილებმა და მოტოქვეითი ჯარის ორმა პოლკმა ფლანგიდან უეცრად და სწრაფად მოუარეს გერმანელთა ორ პოლკს და სოლივით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში. როცა სარდლობის ბრძანება მტრის ჯარის ნაწილების დაქსაქსვისა და იზოლირების შესახებ შესრულებულ იქნა, ფაშისტთა პირველ პოლკს ეკვეთა სატანკო ასეული და დაახლოებით ერთი პოლკი ქვეითი ჯარი. 6 საათის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის პოლკი, ჩვენი ჯარის ნაწილების მიერ სამი მხრიდან გარშემორტყმული, განადგურებულ იქნა. ამ დროს მოსულმა ჩვენი დამკვრელი ჯგუფის შემდეგმა ეშელონმა მოსპო მტრის მეორე პოლკი. მოწინააღმდეგის ჯარების ნაშთებმა დიდძალი იარაღი და საომარი მასალა დაჰყარეს და თავზარდაცემულნი გაიქცნენ. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტანკების ჯგუფის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ბარახოვმა, რომელმაც თავისი ტანკებით მოსპო მტრის მძიმე ქვემეხების ბატარია, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ორი ბატარია და ტყვიამფრქვევთა ოცეული, მძლავრი ტანკის მეთაურმა, ლეიტენანტმა კირილოვმა, რომელმაც მუხლუხებითა და ქვემეხების სროლით შემუსრა 10-მდე ნაღმმტყორცნი. ბრძოლის ველზე ფაშისტებმა 1.500-ზე მეტი მოკლული და დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი დასტოვეს. ჩვენი ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს 120 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 35 დაზგის ტყვიამფრქვევი, სამი 150-მილიმეტრიანი ზარბაზანი, 18 ნაღმმტყორცნი და 15 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. ტყვედ დაგვნებდა 340 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამ დღეებში ჩვენი ჯარების ზურგში ქალაქ ი-ს მახლობლად გერმანელებმა დიდი საჰაერო დესანტი გადმოსხეს, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე ათეული ტანკეტი შედიოდა. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა დაუყოვნებლივ განამარტოეს მტრის ჯგუფი და ფაშისტებს საშუალება არ მისცეს ჰაერიდან მიეწოდებინათ დივერსანტებისათვის მაშველი ძალები და საომარი მასალა. ტანკეტები, რომლებიც უსაწვავოდ დარჩნენ, გერმანელებმა მიწაში ჩაფლეს და ხანგრძლივ საცეცხლე წერტებად გადააქციეს. ჩვენი ყუმბარმშენი ავიაციის თანმიმდევრული იერიშებით, ტანკებთან, ქვეითს ჯართან და არტილერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მტრის საჰაერო დესანტი სავსებით მოსპობილ იქნა.

* * *

ბევრი გერმანელი ჯარისკაცი მაროდერობას ეწევა, ძარცვავს მოკლულებსა და დაჭრილებს ფრონტზე, მათ შორის თავის ჯარისკაცებსა და ოფიცრებსაც. ამას უდავოდ მოწმობს გერმანელთა მე-24 პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურის რიჰარდ დერნბურგის პატაკი თავისი პოლკის მეთაურისადმი. ამ პატაკში, რომელიც ხელთ იგდო ერთერთმა ჩვენმა ქვედანაყოფმა, ნათქვამია: „მსროლელმა მეისნერმა ბრძოლის ველზე ხელის ვერცხლის საათი წაართო მოკლულ ეფრეიტორს, რათა მიეთვისებინა. მსროლელი ზიბერტი მოკლულთა და დაჭრილთა ჯიბეში იქექებოდა და იქ ნაპოვნ ფულსა და პაპიროსებს ითვისებდა. მსროლელმა ვერნერმა მოკლულ ოფიცერს ხელის თითები წაჰკვეთა და ორი ოქროს ბეჭედი წაართო, რათა მიეთვისებინა". შემდეგ რიჰარდ დერნბურგი თავის პატაკში სწერს: „ძვირფასი ნივთები, ფული და სურსათი რომ არ დაიკარგოს, საჭიროა ოფიციალურად ნება დაერთოს მსროლელებს ბრძოლის შემდეგ დასცალონ მოკლულთა ჩანთები და ჯიბეები. ყოველივე ნაპოვნი უნდა გადაეცეს ასეულთა მეთაურებს, რომლებიც დააჯილდოებენ იმ ჯარისკაცებს, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი ბრძოლაში. ეს ყველაზე გონივრული და სამართლიანი გამოსავალია, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანელი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას". ამრიგად, გერმანელი ოფიცრები, არათუ არ სპობენ თავიანთ ჯარისკაცთა მაროდერობას, არამედ აქეზებენ და ფართო მასშტაბით აწყობენ მას.

* * *

გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიის პოლონელ მოსახლეობაში ფართოდ ვრცელდება ფურცლები საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების ტექსტითურთ. ამ შეთანხმებით აღფრთოვანებულმა პარტიზანებმა ახალი ძალით გააჩაღეს საბრძოლო მოქმედება. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ქალაქების სკაისკოს, კონსკეს და ტომაშევის მახლობლად თავს დაესხნენ საომარი მასალით დატვირთულ სამხედრო მატარებელს.

* * *

იუგოსლავიის მშრომელთა პარტიზანული ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ სულ უფროდაუფრო ფართოვდება. პარტიზანები თავს ესხმიან გერმანელთა მცირერიცხოვან გარნიზონებს და აღალებს, ანგრევენ რკინიგზის ლიანდაგს, ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზებს. პარტიზანული რაზმების მოქმედების გაძლიერებასთან დაკავშირებით, გერმანიის არმიის სარდლობამ სასწრაფოდ მოსთხოვა იტალიელებს გადაიყვანონ იუგოსლავიაში ჯარის ახალი ნაწილები პარტიზანებთან საბრძოლველად.

* * *

საბჭოთა პატრიოტები ფხიზლად იცავენ ფაშისტი თავდამსხმელებისაგან ყოველ მტკაველ მშობლიურ მიწას. ასობით ათასი მშრომელი შევიდა სახანძრო რაზმებში, თავდაცვის ჯგუფებში, სანიტარულ რაზმებში, რკინიგზის ლიანდაგისა და ნაგებობათა დამცველ რაზმებში. გაბედულობას, მიხვედრილობას და საბრძოლო მოსაზრებულობას იჩენენ მოსკოვის სახანძრო რაზმის ახალგაზრდათა პოლკის მეომრები მოსკოვზე ფაშისტური ავიაციის ყაჩაღური თავდასხმების დროს.

იმ უბანს, რომელსაც იცავს ა. ვ. ბელკინის მეომართა ოცეული, დაახლოებით 30 ცეცხლგამჩენი ყუმბარა დაეცა. ოცეულის მეთაურმა და მეომრებმა ყველა ყუმბარა სწრაფად ჩააქრეს. თავდადებით მუშაობდა ოცეულის მეომარი ლ. ე. რაპოპორტი. მან მარტომ გააუვნებლა რამდენიმე ცეცხლგამჩენი ყუმბარა, რომლებიც საცხოვრებელ სახლს მოხვდა, და ჩააქრო გაჩენილი ხანძარი. ხანძრის თავიდან ასაცილებლად გაწეული საბრძოლო მუშაობისათვის და ამასთან გაბედულობის გამოჩენისათვის ამხ. ბელკინი დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის", ხოლო ამხ. რაპოპორტი—მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".

ფუგასურმა ყუმბარამ პატარა საცხოვრებელი სახლი დაანგრია. ამხ. შმირევის ოცეულის ყველა მეომარი, მათ შორის რამდენიმე დაჭრილი მეომარიც, თავის პოსტზე დარჩა. ისინი თავდადებით ებრძოდნენ ცეცხლს და სწრაფად ჩააქრეს გაჩენილი ხანძარი. ოცეულის მეთაური ამხ. შმირევი, მიუხედავად იმისა, რომ იგი აფეთქებისაგან გამოწვეულმა ტალღამ დააშავა, სახლის სახურავზე დარჩა და იქიდან ხელმძღვანელობდა ხანძრის ლიკვიდაციას. მეომარმა ნ. ი. ტიშკინმა ცეცხლმოდებული სახლიდან დაჭრილი ქალიშვილი გამოიყვანა. ამხ. ტიმოშინის ოცეულის მეომრებმა გააუვნებლეს 20-ზე მეტი ცეცხლგამჩენი ყუმბარა და მოსპეს ხანძრის კერები საცხოვრებელ სახლში და მოროზოვის სახელობის საავადმყოფოში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 4 აგვისტოს საღამოს ცნობიდან

4 აგვისტოს განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა **ხოლმის, სმოლენსკის** და **ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით.

ჩვენს ავიაციას 4 აგვისტოს განმავლობაში სახმელეთო ჯარებთან თანამოქმედებით იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ.

3 აგვისტოს განმავლობაში მტრის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანიის 20 თვითმფრინავი. ჩვენ 6 თვითმფრინავი დავკარგეთ.

3 აგვისტოს ღამით მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის დროს ჩამოგდებულია გერმანიის 2 თვითმფრინავი. ჩვენს ავიაციას დანაკლისი არ ჰქონია.

(მიღებულია რადიოთი საქ. რადიოკომიტეტის მიერ).

ს. მაჭავარიანი

საქ. სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, საქ. წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების თავმჯდომარე

საბჭოთა პატრიოტის წმინდა მოვალეობა

ფაშისტი ბარბაროსების მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენს დიად სამშობლოზე მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მრისხანება და გულისწყრომა გამოიწვია. ფაშიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლების ამ დიად მომენტში, როცა ჩვენი სახელოვანი წითელი არმია დაუზოგველად ანადგურებს მტერს ფრონტზე, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მტკიცედ, კიდევ უფრო ერთსულოვნად დაირაზმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა მამისა და ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. მთელი ჩვენი მოსახლეობა — დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი — ყველანი ერთგულად და თავდადებით მუშაობენ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. შრომითი თავდადებისა და გმირობის ამდენი მაგალითი არასოდეს არ ყოფილა, როგორც ახლა.

მტრის განადგურების, ფაშიზმის საბოლოოდ გასრესის დიადი მისიის შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის ახლებურად, საომარ დროსთან შეფარდებით გარდაქმნას, მთელი მოსახლეობის მომზადებას სანიტარული თავდაცვისათვის.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება სანიტარული თავდაცვისათვის მოსახლეობის უზრუნველსაყოფად მთელ რიგ ღონისძიებებს ანხორციელებენ. ჩვენი ქვეყნის ათასობით ქალები ჩაბმული არიან სანიტარული თავდაცვის წრეებში. ათასობით მოწინავე მშრომელი ქალები სწავლობენ და ახლო ხანში წითელ არმიაში სამუშაოდ წავლენ სამედიცინო დებად და სანიტრებად.

ჩვენი ამოცანაა, მთელი ჩვენი მოსახლეობის გადაუდებელი ამოცანაა საქმე ისე დავაყენოთ, სანიტარული თავდაცვის წრეების მუშაობა ისე მოვაწყოთ, რომ ყოველ ოჯახში იყოს ერთი წევრი, რომელიც სავსებით დაუფლებული იქნება სანიტარული თავდაცვის ნორმებს და საჭიროების შემთხვევაში შესძლებს ყუმბარით დაშავებულისათვის პირველი საექიმო დახმარების აღმოჩენას. თბილისის ექიმებისა, სამედიცინო დარგის მეცნიერ-მუშაკებისა და ჯანმრთელობის დარგში მომუშავეთა ცოლებმა (პროფესორების — ერისთავის, წულუკიძის, გოცირიძის, ლორთქიფანიძის და სხვ.) შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. ისინი ჯანსახკომის მოწოდებისთანავე შეკავშირდნენ და დაიწყეს სწავლა, რათა უახლოეს დროშივე განაწილდნენ ჰოსპიტლებში სამუშაოდ, იქ კულტმომსახურება გაუწიონ სამშობლოს დაცვისას დაჭრილ გმირებს. მათს მაგალითს უნდა მიბაძონ საბჭოთა ხალხის ყველა ქალიშვილებმა.

ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა ვისაც რითი შეგვიძლია დავეხმაროთ ფრონტს, მშობლიურ წითელ არმიას. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება ამჟამად დიდ მუშაობას ეწევა დონორების მოსამზადავად. ყველა, ვისაც პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ უშლის, უნდა აღირიცხოს დონორად. დონორობის მსურველები ბევრნი არიან, მაგრამ ხშირად მათ არ იციან სად და ვის მიმართონ. ყველა ჩვენგანის მოვალეობაა განვუმარტოთ მშრომელებს ასეთი საკითხები.

მოვემზადოთ, ვისწავლოთ, გავვარჯიშდეთ საჰაერო-ქიმიურსა და სანიტარულ თავდაცვაში, ვისწავლოთ პირველი საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე, განვამტკიცოთ ზურგი და გამარჯვება ჩვენი იქნება.

მოქმედი არმია. სურათზე: ტანკები მიემართებიან მოწინავე პოზიციებზე.

სამამულო ომის ფრონტებზე

ნაღმმტყორცნელ გორბუნოვის გმირობა

მოქმედი არმია, 1 აგვისტო (საკდესის სპეცკორი). ნაღმმტყორცნელთა ოცეული განლაგებული იყო მაღალი და ხშირი ბუჩქნარით დაფარულ დიდ გორაკზე. ფაშისტთა არტილერია ბევრჯერ დაატყდა თავს გორაკს მთელი მძვინვარებით, გორაკის ირგვლივ მიწა გაშავდა განუწყვეტელი ბრძოლისაგან. ფაშისტთა ქვეითი ჯარი ექვსჯერ გააფთრებით გადმოეშვა იერიშზე, ექვსჯერვე უკუაგდეს იგი ჩვენმა გმირმა ნაღმმტყორცნელებმა, გორაკი, რომელზედაც ნაღმმტყორცნელთა ოცეული გამაგრდა, ალყაშემორტყმული იყო ფაშისტების მიერ. ათობით გერმანელმა მეავტომატემ წინ წამოიწია და კვლავ დაუშინა გამანადგურებელი ცეცხლი გორაკსა და ბუჩქნარებს. ჩვენი ნაღმმტყორცნელები ჩუმად იყვნენ, მათ გადასწყვიტეს მტერი ახლოს — ხელყუმბარის სროლაზე მოეშვათ. როცა ისინი მოახლოვდნენ, 11 ხელყუმბარა მისცხეს ფაშისტთა ქვეით ჯარს, შემდეგ მათ კიდევ 11 მიაყოლეს. მეშვიდე იერიში უკუგდებულ იქნა.

თითქმის განთიადამდე სიწყნარე იყო, თითქოს ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარაო. განთიადზე ნაღმმტყორცნის მეთაურმა დიმიტრი გორბუნოვმა თვალი მოავლო გორაკს, ფაშისტთა გვამების დათვლა იწყო, მაგრამ, შეეშალა და როცა 82 დაითვალა, თავი მიანება.

მტრის მეავტომატეებმა კვლავ დაუშინეს გორაკს მარჯვენა ფლანგიდან და, ხელყუმბარების შიშით, ჩაწვნენ, მიწას გაეკრნენ. გორბუნოვის ბრძოლის მეგობარმა და თანაშემწემ წითელარმიელმა სტეფანე ზახაროვმა სწრაფად შეიცვალა პოზიცია, ხელტყვიამფრქვევის სადგარები დაამაგრა და მთელი დისკოს მოტრიალებით სწრაფად მისცხო წყება სწორედ იმ წუთში, როდესაც ფაშისტი მეავტომატენი, რომლებსაც ეგონათ ხელყუმბარებს აღარ გვესვრიანო, ახალი გადმორბენისათვის დგებოდნენ.

— წახდნენ — კმაყოფილებით სთქვა ზახაროვმა და გორაკის ფერდობებს თვალი მოავლო, — ახლა შესვენება იქნება. მაგრამ იგი შესცდა. მძიმე ზარალის გამო გაცოფებულმა მტერმა გორაკის იერიში გადასწყვიტა.

გააფთრებული ბრძოლის მეორე დღე-ღამის შემდეგ ოცეულიდან მხოლოდ 4 კაცი დარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზურგში გადმოცოცებულ დაჭრილთ. სწორედ ესენი იცავდნენ გორაკს მტრის იერიშისაგან. სარდლობის ბრძანება — გაუძელით მაშველთა მოსვლამდე, გორაკი ფაშისტებს არ დაუთმოთო — განუხრელად, მტკიცედ სრულდება. ფაშისტთა ბატალიონის ზურგში შედიოდა უფროს ლეიტენანტ ზაგოსინის ნაწილი.

როცა ფაშისტები იერიშზე გადმოვიდნენ, გორბუნოვმა შეამჩნია, რომ ნაღმების მარაგი გათავებულიყო და ზახაროვს მიაძახა — სხვა ნაღმმტყორცნები დასჩხრიკეო, ზახაროვი სწრაფად დაბრუნდა და მოახსენა, არც ერთი ნაღმი აღარ არისო. მან სამი ხელყუმბარის ჩანთა მოათრია, მაგრამ, რაც მთავარი იყო — გორაკზე რომ მხოლოდ ორნი რჩებოდნენ, ზახაროვმა გორბუნოვს არ გაუმხილა.

გორბუნოვს არ შეუმჩნევია, თუ როგორ გაეკრა მიწას და საუკუნოდ დაიძინა მისმა მებრძოლმა მეგობარმა სტეფანე ზახაროვმა. ახლა გორაკზე დარჩა მარტო გორბუნოვი, ერთად-ერთი დამცველი.

იგი ჩოქილა ისროდა ხელყუმბარას პირდაპირ შეტევაზე გამოსულ ფაშისტთა შუაგულში, ფაშისტები უკან იხევდნენ, წვებოდნენ, ბევრი მიწაზე ეცემოდა, რათა ვერასოდეს ვეღარ ამდგარიყო. იმ მომენტში, როდესაც გორბუნოვმა უკანასკნელი ხელყუმბარა გაისროლა, მას მჩვარივით ჩამოეკიდა მარცხენა ხელი — სასქდომმა ტყვიამ იდაყვი დაუმსხვრია. ერთი წუთით იგი ბუჩქებს მიეკვრა, გვერდით ზახაროვი იწვა, რომელსაც ხელყუმბარა მაგრად ჩაებღუჯა. გორბუნოვმა ხელყუმბარა გამოართვა, ტკივილი დასძლია, წამოიჩოქა და გასტყორცნა... აფეთქების გრიალში უეცრად მოისმა მძლავრი წითელარმიული „ურა".

უფროს ლეიტენანტ ზაგოსინის ნაწილმა თავისი ოპერაცია შეასრულა. იგი ფაშისტებს ზურგში მოექცა და მთლიანად მოსპო მტრის მთელი ბატალიონი.

წითელარმიელებმა დიმიტრი გორბუნოვი გორაკზე ნახეს, როცა გმირი ნაღმმტყორცნელი გონს მოვიდა, მან სთქვა—თითქოს თავის მეგობარ ზახაროვს ეუბნებაო: „სტეფანე იბრძოლებს, სანამ ტყვია არ გამოელევა, არ დავზოგავთ".

რეისი პირველი და უკანასკნელი

გერმანელთა ახალი ყუმბარმშენი — ჰიტლერული გამანადგურებელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა — პირველ რეისზე გამოვიდა და მაშინვე ჩამოაგდეს ჩვენმა მეზენიტეებმა.

უმცროსი ლეიტენანტი იაკობ სოსნოვი ხედავდა, თუ როგორ გამოხტნენ ჩამოვარდნილი თვითმფრინავიდან მფრინავები და რაღაცას ცოდვილობდნენ მანქანის მახლობლად. სოსნოვი მანქანისაკენ გაექანა. მან არ იცოდა, მიჰყვებოდნენ თუ არა მებრძოლები, ამაზე არა ჰფიქრობდა. იგი მხოლოდ ერთ რამეს ხედავდა — გერმანელებს მანქანის მოსპობა უნდოდათ. ამის დანებება შეუძლებელი იყო.

გერმანელები კი, მართლაც, აპირებდნენ მანქანის დაწვას. უკვე ჩაუშვეს ბენზინის ავზში პარაშუტის ბოლო. უკვე მოუკიდეს ცეცხლი პარაშუტის მეორე მშრალ ბოლოს. იწვის. ახლა აფეთქება მოხდება.

იაკობ სოსნოვი გაბედულად მიიჭრა ბენზინის ავზთან ცეცხლმოდებული პარაშუტი ამოჰგლიჯა და ჩექმით ზედ შედგა — ჩააქრო. ამ დროს მებრძოლებმაც მიირბინეს. მივიდნენ ტატმუროვი, კალინინი, ტკაჩენკო, კროტკოვი... მათ როდი მიატოვეს მეთაური, ისინი ფაშისტთა ეკიპაჟს ეკვეთნენ და მზად იყვნენ გაეწყვიტნათ ისინი, თუ ოდნავ წინააღმდეგობას გასწევდნენ. მაგრამ გერმანელებს წინააღმდეგობა არც კი უფიქრიათ. ისინი პატიებას თხოულობენ. ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინათ ჩვენი სოფლების თავზე დაფრინავდნენ ისინი უმწეო მოხუც ქალებთან ბრძოლაში სისხლმოწყურებული ჩხუბისთავნი. მათი ხელი ჯერ კიდევ სისხლით არის შეღებილი...

სოსნოვი ინტერესით აკვირდება ნადავლ მანქანას. უკანასკნელი მოდელია. ძვირფასი დავლაა. (საკდესი).

ოცდათერთმეტი ნატყვიარი

მოქმედი არმია, (საკდესი). აი მოჰქრის ფაშისტთა თვითმფრინავი. იგი გადაუფრენს გამაგრებულ წერტილს № რაიონში. დაძრწის. პიკირებულ ფრენაზე გადადის. მოტორები სდუმან. მანქანით გაპობილი ჰაერი მხეცივით ღმუის.

საზენიტო ტყვიამფრქვევთან სულგანაბული დგას ივანე ეფრემოვი. იგი ახალგაზრდა მებრძოლია, დონბასელი მუშა. პირველი შემთხვევაა, რომ მტრის თვითმფრინავი მისი ტყვიამფრქვევის დასამიზნად დაფრინავს. იგი ვარსკვლავით ხედავს თვითმფრინავს. ხედავს, თუ როგორ იკლაკნება. სიბრტყის თეთრ რკალში გველებრი სვასტიკა.

მაგრამ ეფრემოვი არ ნერვიულობს, არ ჩქარობს. თითქოს მის თავზე მტრის ყუმბარმშენი კი არა, სასწავლო კონუსი იყოს, რომლის მიხედვით მას სროლას ასწავლიდნენ ბანაკებში მშვიდობიანობის დროს. და ახლა იგი ისე მოქმედებს, როგორც ასწავლიდნენ: ზუსტად აყენებს სამიზნოს. მზადაა. ჩახმახს ხელი დააჭირა.

„იუნკერსი" ცაში ათართხალდა. იგი გამოვიდა პიკირებიდან, შეეცადა მაღლა აფრენილიყო. ჯერ ერთი ფრთით დაიხარა, მერმე მეორეთი. ცხვირი ასწია, სცადა მაღლა აფრენა. არ გამოუვიდა. კვლავ იკლაკნება.

ეფრემოვი გაფაციცებით ადევნებდა მას თვალყურს. აღარ ისროდა. რა საჭიროა ვაზნის დახარჯვა. ეფრემოვმა გადათვალა 31 ვაზნა და მისცხო. ეყოფა საძაგელს.

როცა მებრძოლებმა ჩამოვარდნილ ყუმბარმშენთან მიირბინეს, მათ დაინახეს, რომ მანქანას მოტორიდან ბოლომდე გავლებული ჰქონდა ტყვიის სწორი გვირისტი.

—თითქოს საკერავ მანქანას გაუგვირისტებიაო, — გაიცინა ვილაცამ. პოლიტხელმა ცნობისმოყვარეობით დაითვალა ნატყვიარები: ოცდათერთმეტი ნატყვიარი აღმოჩნდა.

ეფრემოვის ნასროლი არცერთი ტყვია ფუჭად არ დაკარგულა.

ᲛᲔᲝᲛᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

„ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲚᲔ" ᲡᲐᲝᲛᲐᲠ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

დიადი სარკინიგზო სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად აღნიშნავს 1935 წლის 30 ივლისს — კრემლში ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ რკინიგზის მუშაკების მიღების დღეს. მას შემდეგ ეს თარიღი სოციალისტური ქვეყნის რკინიგზელთა ტრადიციულ დღესასწაულად არის გადაქცეული.

ყოველწლიურად, აგვისტოს პირველ კვირადღეს აღნიშნავდნენ ჩვენი რკინიგზელები ამ თავის დღესასწაულს მასობრივი დასვენებითა და მხიარული გართობით.

მხოლოდ მიმდინარე წელი შეადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

„რკინიგზელის დღე" წელს აღინიშნა გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ვითარებაში. მაღალი პატრიოტული გრძნობებით ანთებულმა რკინიგზელებმა წამოაყენეს წინადადება, რათა წელს „რკინიგზელის საკავშირო დღე" მუშაობით აღენიშნათ და მთელი გამომუშავებული ხელფასი შეეტანათ ქვეყნის თავდაცვის ფონდში.

რკინიგზელთა ეს სურვილი მთავრობამ დააკმაყოფილა და 3 აგვისტოს რკინიგზებზე ჩატარდა საკავშირო კვირაობა. ეს დღე რკინიგზებზე აღინიშნა სანიმუშო მაჩვენებლებით დატვირთვა-გადმოტვირთვის, მატარებელთა ტარების, მეტი პროდუქციის გამომუშავების, მოძრავი შემადგენლობისა, ლიანდაგის რემონტის და სხვ. დარგებში.

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზაზე ამ დღეს ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოცხადდნენ სამუშაოზე. დატვირთვისა და გადმოტვირთვის დღიური ნორმები შესრულებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. მატარებლების მოძრაობის გრაფიკიც შესრულებული იყო უკეთესად. სამმა საექსპლოატაციო განყოფილებამ სრული ასი პროცენტით შეასრულა ეს გრაფიკი. სარემონტო ქარხნების, დეპოების, სავაგონო უბნებისა და სალიანდაგო დისტანციების კოლექტივებმა უმაგალითოდ მაღალი შრომის ნაყოფიერებით იმუშავეს მოძრავი შემადგენლობისა და ლიანდაგების რემონტზე. შეგროვილ იქნა ათეულობით ტონა შავი და ფერადი ლითონის ნამტვრევი.

ამგვარად, ამიერ-კავკასიის რკინიგზელებმა წელს „რკინიგზელის საკავშირო დღე" აღნიშნეს გეგმის გადამეტებით, მეტი ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთებით, ლითონის შეგროვებით, ფრონტისა და ზურგისათვის საჭირო დამატებითი ტვირთების გაზიდვით.

იმუშავეს რა 3 აგვისტოს, რკინიგზელებს თავისი ტრადიციული დღე სეირნობით, კარნავალით, მხიარული გართობით გადააქვთ იმ დღისათვის, როდესაც საბოლოოდ დასამარებული იქნება ფაშიზმი.

ეს დღეც დადგება და იგი იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხების, თავისუფლებისმოყვარული ყველა ხალხების დიადი დღესასწაული.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲪᲢᲠᲔᲡᲢᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ („კომუნისტის" კორ.). ჭიათურის მარგანტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის გამოღების ივლისის გეგმა. მრავალმა ასეულმა სტახანოველმა უკვე შეასრულა წლიური დავალება. სამამულო ომის დღეებში მაღალნაყოფიერად მუშაობენ ორჯონიკიძის, ბერიას და დიმიტროვის სახელობის მაღაროები. ორასამდე ქალი შაბათობებზე წარმატებით მუშაობს. მარგანეცის საწარმოებში 300 მოწაფემ რამდენიმე დღეს უხელფასოდ იმუშავა.

Ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲐ

ᲐᲙᲐᲠᲛᲐᲠᲐ (საქდესი). ტყვარჩელქვანახშირის მეშახტეები ივლისში სტახანოვურად მუშაობდნენ. ქვანახშირის ამოღების 7 თვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. პირველმა უბანმა (უფროსი ამხ. სიგუა) ივლისის თვეში რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღო გეგმის გადამეტებით. გეგმას თვალსაჩინოდ გადააჭარბა მეოთხე უბანმა (უფროსი ამხ. აივაზოვი).

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲔᲜᲢᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

ᲒᲝᲠᲘ („კომუნისტის" კორ.). რაიონის მშრომელები საკოლმეურნეო მინდვრებზე უდიდესი ენტუზიაზმით მუშაობენ. სოფ. ბერბუკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ვადაზე 10 დღით ადრე დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. შესანიშნავად იმუშავა მუშანა გიგაურის ჯგუფმა. მუშანა და გიორგი გიგაურებს ორი შვილი რამანი და ლევანი მოქმედ არმიაში ჰყავთ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა კოლმეურნე მშობლების შრომის ნაყოფიერება. მოხუცი გ. გიგაური ყოველდღიურად მოსავალს 0,6 ჰექტარზე იღებდა.

სოფ. ტინისხიდის სასოფლო საბჭოს 5 კოლმეურნეობამ სწრაფად და უდანაკარგოდ აიღო მოსავალი. ამ საქმეში მას დიდი დახმარება აღმოუჩინეს გორის რკინიგზის სკოლისა და აგრეთვე მესამე და მეოთხე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

კოლმეურნეები პირნათლად იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე. მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები ვადაზე ადრე შეასრულეს სოფ. დიდი ატენის, დეგეულას, გარდატენის, ხელთუბნის, დიდი გარეჯვარის, ოხერისა და დიდი ბერშუეთის კოლმეურნეობებმა. უკანასკნელმა სამმა კოლმეურნეობამ გეგმის ზევით ჩააბარა სახელმწიფოს ყველი, ერბო და კვერცხი.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებები შესრულებულია სოფ. ზემოტყვიავის, ბერბუკის, შავშვებისა და მრავალ სხვა კოლმეურნეობაში.

Ხ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ („კომუნისტის" კორ.). ქობულეთის რაიონის მშრომელები გმირული შრომით ეხმარებიან წითელ არმიას ვერაგი მტრის, პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში. რაიონმა 103,3 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა. მოკრეფილია 2.182.810 კილოგრამი ჩაი, რომლის 73,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

გაათკეცებული ენერგიით მუშაობს ოჩხამურის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ოჩხამურელებმა ივლისის გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 93.766 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ასევე ნაყოფიერად მუშაობს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც ივლისში გათვალისწინებული გეგმის გადამეტებით მოკრიფა 53.236 კილოგრამი ჩაი.

ჩაის კრეფის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ანდრეევის, მიქოიანის, მარქსის და მიხაილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

წარმატებით იბრძვიან რა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის, კალინინის, ვოროშილოვის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 1941 წლის ვალდებულებანი. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მერგოლის მ. მაისდოშვილის წითელ არმიაში წასვლის შემდეგ, რგოლს სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე გული, რომელიც, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა, დღეში 35-40 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს.

სამამულო ომის დღეებში ჩაის კრეფის დღიურ ნორმებს 300 პროცენტით ასრულებენ ამავე კოლმეურნეობის სტახანოველები აიშე გოგიტიძე, საბრიე რუსიოღლი, გული გათენაძე, ზექიე და ქავსერ გიორგაძეები და სხვ.

Ქ. ᲓᲝᲑᲝᲠᲯᲒᲘᲜᲘᲫᲔ

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲐᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲛᲢᲔᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი გულდასმით ისმენდა პარტბიუროს მდივნის ამხ. ვ. გეტაშვილის ინფორმაციას თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ.

სიტყვები—მთელი ძალღონე მოვახმაროთ გაშხეცებულ მტერზე გამარჯვებას, სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — მქუხარე ტაშმა და ვაშას ძახილმა დაფარა.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულნი: ორდენოსანი მექაბე მიხანაშვილი, მემანქანეები — მოროზოვი, ცხენოსანიძე, ქართველიშვილი და ხუციშვილი, ხარატი სახაძე, ზეინკალი ბერიაშვილი ლაპარაკობდნენ წითელი არმიის, მთელი საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაზე ვერაგი მტრის წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ ამხანაგებს თავიანთი წვლილი შეიტანონ თავდაცვის ფონდში. დეპოელებს დანაზოგები შეაქვთ, კისრულობენ თვეში ერთხელ უფასოდ ატარონ მძიმე წონიანი მატარებლები, უფასოდ აწარმოონ ორთქლმავლების გარეცხვათაშორისო შეკეთება და სხვ.

3 აგვისტოს, „რკინიგზელის დღეს" დეპოელებმა იმუშავეს და ამ დღის ხელფასი მთლიანად შეიტანეს თავდაცვის ფონდში.

ᲝᲠ-ᲝᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲦᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

2 აგვისტოს შესდგა მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება-მიტინგი, მიძღვნილი თავდაცვის ფონდის შექმნისადმი. ინფორმაცია თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. გალუსტოვმა. სიტყვებით გამოვიდნენ მიხეილ რაზმაძე, ტასო დარჩიაშვილი, ივანე მელიქოვი, ან. კუხიანიძე, ვ. თვალჭრელიძე, გ. ჩეკურაშვილი, სათო ძაგანია, მ. ფანცულაია, ა. ნინუა, ვასო ფოლადოვი.

— ორი შვილი მყავს, ორივე ფრონტზეა, გულადები არიან და არ შემარცხვენენ—სთქვა ტასო დარჩიაშვილმა. — შემომაქვს თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე ორი შრომადღის ღირებულება და 100 მანეთის ობლიგაციები.

გ. ჩეკურაშვილმა 5 შრომადღის ღირებულება და 50 მანეთი შეიტანა თავდაცვის ფონდში და დაუმატა:

— ჩემმა ბავშვმა დამაბარა. ყულაბა მაქვს, შიგ 20 მანეთია მოგროვილი, ეს ჩემი წვლილიც შეიტანე თავდაცვის ფონდშიო.

ვანო მელიქოვმა შეიტანა 2 შრომადღის ღირებულება, 50 მანეთი ფულად და 150 მანეთის ობლიგაციები. კრების დამთავრების შემდეგ სოფლსაბჭოში მიირბინა და განცხადება მიიტანა:

— კრებაზე დამავიწყდა... ნაღდ ფულად 50 მანეთი კი არა, 200 მანეთი მინდა შემოვიტანო. როგორმე გადააკეთეთ ოქმი...

სათო ძაგანიამ 2 შრომადღის ღირებულება და 100 მანეთი შეიტანა, პარტორგმა ვ. ფოლადოვმა—5 შრომადღის ღირებულება, 100 მანეთი ფულად და 100 მანეთის ობლიგაციები, ვასო გალუსტოვმა—5 შრომადღის ღირებულება და 1.000 მანეთი, მ. რაზმაძემ — 2 შრომადღის ღირებულება და 50 მან. ობლიგაცია.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲡ

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდის შექმნას ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მუშაკები მაღალი პოლიტიკური შეგნებით შეხვდნენ. გზის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა გამოსთქვეს სურვილი თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე გადარიცხონ 1-2 დღის ხელფასი. მთელ რიგ ცალკეულ კოლექტივებსა და მუშაკებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ თავისი განსაკუთრებული წვლილი დანაზოგებისა და ძვირფასი ნივთების სახით.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო ვაგონების საამქროს კოლექტივმა 3 აგვისტოს გამოიმუშავა 20 ათასი მანეთი, ხაშურის საექსპლოატაციო განყოფილების აპარატის მუშაკებმა სამშენებლო სამუშაოებზე და კვანძის დასუფთავებაზე მუშაობით—1.250 მანეთი, კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციის მუშაკებმა გამოიმუშავეს 1010 მან., ენერგომომარაგების პირველი უბნის მუშაკებმა—1089 მან., თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირულმა საკომპლექსო ბრიგადამ ორდენოსან ამხ. შ. ხიზანიშვილის ხელმძღვანელობით — 2.000 მანეთი. ყველა ეს თანხები თავდაცვის ფონდში ჩარიცხეს. ნავთლუღის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 52.000 მანეთის ობლიგაციები. თბილისის საექსპლოატაციო განყოფილების დისპეტჩერმა ამხ. ივანოვმა თავდაცვის ფონდს შესწირა ვერცხლის სერვიზი წონით 775 გრამი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ცნობილმა სტახანოველმა ამხ. კასიონკინმა მიტინგზე განაცხადა: ჩვენი სამშობლოს თავდაცვის ფონდში ყველა პატრიოტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. პირადად მე თავდაცვის ფონდში შემაქვს 2.300 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად სამი დღის ხელფასი. მიტინგის ყველა მონაწილემ მას მხურვალედ დაუჭირა მხარი.

— ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებისათვის ყოველთვიურად სამი დღის ხელფასი შემაქვს, —განაცხადა საძარე საამქროს კომორგმა ამხ. ზინა ჩუვიშკოვამ. ამწყობი საამქროს ზეინკალს ამხ. მელიქსედოვს თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ხუთი დღის ხელფასი შეაქვს.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს და თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად 2-3 დღის ხელფასი შეიტანეს ამხ. ტაბატაძემ, ხარაჯიდმა, მამაჯანოვმა, ნიკოლაიძემ, მაქსოევმა, სტეფანიანმა, ინჟინერმა ქალმა ამხ. ბადრიძემ და სხვ.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ყოველთვიურად ერთ-ორ დღეს მუშაობენ თავდაცვის ფონდისათვის.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲘ („კომუნისტის" კორ.). გორის საწარმო - დაწესებულებათა კოლექტივებმა გადასწყვიტეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდის განმტკიცებისათვის ყოველთვიურად შეიტანონ ერთი, ორი და სამი დღის ხელფასი. ექიმმა ამხ. გიორგობიანმა თავდაცვის ფონდში შეიტანა 1.000 მანეთი და 1.000 მანეთის ობლიგაციები.

სახელმწიფო ბანკის გორის განყოფილების თანამშრომლებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 2.310 მანეთის ობლიგაციები და 747 მანეთი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ („კომუნისტის" კორ.). სოხუმის მშრომელებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ თავიანთი დანაზოგები, ძვირფასი ნივთები და ობლიგაციები.

სოხუმის საკონსერვო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ომის დამთავრებამდე ყოველთვიურად შეიტანონ ფონდში თითო დღის ხელფასი, ხოლო მუშა-ქალი კომუნისტი ამხ. ელენე ელინოპულო ყოველთვიურად თავდაცვის ფონდს აძლევს 3 დღის ხელფასს.

სოხუმის პედინსტიტუტის ლექტორმა ამხ. კლარა ვეკუამ ფონდს გადასცა ოქროს საათი.

მოსკოვის მშრომელთა ინიციატივას ფართოდ ეხმაურებიან აგრეთვე აფხაზეთის კოლმეურნეობებიც.

Გ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ („კომუნისტის" კორ.). ლანჩხუთის რაიონის მშრომელებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეაქვთ ორი, სამი და ოთხი დღის ხელფასი, ობლიგაციები, ძვირფასი ნივთები. ქალაქის კოოპერატიული თანამშრომლებს ომის დამთავრებამდე თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ოთხი დღის ხელფასი შეაქვთ. ორი დღის ხელფასი და ხუთასხუთასი მანეთი შეიტანეს თავდაცვის ფონდში რაიმიწგანისა და ფინგანის თანამშრომლებმა. საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგემ ამხ. ლალიძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა ოთხი დღის ხელფასი და 700 მანეთის ობლიგაციები.

ლანჩხუთის რაიონის მშრომელები არაფერს ზოგავენ სამშობლოს დაცვისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის!

Ვ. ᲛᲔᲥᲕᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ („კომუნისტის" კორ.). ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში. ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის კოლექტივს თავდაცვის ფონდში სამამულო ომის დამთავრებამდე ყოველთვიურად თითო დღის ხელფასი შეაქვს. ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა ამხ. გვილავამ, სიმონიანმა, მიქავამ და სხვებმა ამავე დროს აიღეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი.

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები (მარცხნიდან): დ. ანდრიაძე, ს. ელოშვილი, ს. შენგელია და გ. ქსოვრელი, რომლებსაც მატარებლები კრიეონოსული სისწრაფით უავარიოდ დაჰყავთ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲯᲔᲙ ᲐᲚᲢᲐᲣᲖᲔᲜᲘ

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠ ᲩᲐᲠᲒᲔᲘᲨᲕᲘᲚᲖᲔ

ჩვენ ფაშისტურ ძერას ბევრჯერ ვლეწდით, ვფშვნიდით,
ხმა ჩავუცხრეთ ტყვიით, შორს გავტყორცნეთ იგი.
ყველგან იყო ჩვენთან მხნე ჩარგეიშვილი —
უშიშარი, გმირი, კარგი ბოლშევიკი.

ის გაზარდა შვილად იმ მხარემ მზიურმა,
სადაც ჩანგი უკრავს, მტკვარი არხევს ტალღებს,
მეგობრობის გრძნობით დაემშობლიურა
დიდი ვოლგის, დონის, დნეპრის, კამის ხალხებს.

მაგრამ როცა დადგა წუთი განსაცდელის,
როცა დაემუქრენ ჩვენს მხარეს გათელვით,
თბილისელთან აღსდგა ფრუნზელ-პოლტაველი,
უკრაინის მკვიდრი, რუსი და ქართველი.

აღდგნენ, რადგან მოსავთ მათ დიდება ერთი,
რადგან სუნთქავს ყველა ერთ საერთო ჰაერს.
მამაც ჩარგეიშვილს ჩვენც ვუდგევართ გვერდით,
მასთან ერთად ვიცავთ დიდ საბჭოთა მხარეს.

ის სავსეა გზნებით, ფხიზელია, მკვირცხლი
და ეს გრძნობა მასთან განუყრელად რჩება.
კომისართან ყველა მებრძოლებმა ვიცით
კარგი არის ყოფნა, ბრძოლა, გამარჯვება,

როცა მოდის ჩვენზე ტყვიის ცეცხლის თქეში,
ან თუ ცეცხლის გრიგალს მტრის ბანაკზე გავშლით,
მხნე ჩარგეიშვილი, ვიცით, თავის დღეში
არ დასტოვებს მარტოს თავის მებრძოლს მაშინ.

არ დასტოვებს მებრძოლს მარტოს გასაჭირში
დაჭრილ კაცის გულზე სიხარულს მიაბნევს,
ძმისებრ ხელს რომ მოგხვევს, მსწრაფლ გაჰქრება შიში
და თვით მიუჯდება შენს მდუმარ ტყვიამფრქვევს,

რათა ფაშისტ სვავებს დასცეს მწყობრი ბათქი,
ცეცხლი შეუწყვეტი დაატეხოს თავზე,
და ჩარგეიშვილი თავის სიტყვით, საქმით
ძლევის ნებისყოფით მეომრის გულს ავსებს.

ჩვენ ფაშისტურ ძერას ბევრჯერ ვლეწდით, ვფშვნიდით,
ხმა ჩავუცხრეთ ტყვიით, შორს გავდევნეთ იგი!
ყველგან ჩვენთან იყო მხნე ჩარგეიშვილი—
უშიშარი, გმირი, კარგი ბოლშევიკი.

თარგმნა ბ. აბულაძემ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐ

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

I

მშვიდი დილაა, მზის სხივი ავსებს
ბრძოლების შემდეგ ქვეყანას დიადს.
მხოლოდ ტყის პირას ნამიან გზაზე —
მტრები მოდიან.

გზას, ასე ლამაზს არ უჩანს ბოლო.
მაშ, რათ შეიპყრეს ფიქრებმა
შავმა?

მშვიდი დილაა, მათ ერთხელ მხოლოდ
დასჩხავლა ყვავმა.

აი, ტყეს გასცდენ. ხედავენ ლოდებს
გორაკთან, თეთრათ რომ გაიშალა.
იქ ხომ წყაროა, მიუახლოვდნენ,
წყარო დამშრალა!

სადღაა მხარე ის საოცნებო?
თუ ამ მხარეში ფიქრიც მწარეა?
მიუახლოვდნენ სოფელს,—გაოცდენ
გადამწვარია.

გამოელიათ მათ თითქოს ძალა
სიჩუმე ახლავთ იმედათ, რა ჰქნან?
მაგრამ ქვემეხმა დაიგრიალა
სიჩუმეც გაჰქრა.

II

ალბათ ქარიშხალს ბევრჯერ ეომა,
აქ უფრენია იქნებ მესეთ.
დღეს კი სულ სხვა აქვს მოვალეობა
ესკადრილიას წურწუმისა.

საით მიფრინავს, სად მიიჩქარის,
თუ მტრის ხომალდებს უკვე ელიან?
ზღვაზე კი ისევ სიჩუმე არის,
შავი ზღვა მაინც მომხიბვლელია.

აი, ცისკარმა ინათა წითლათ,
მიაღწიესო მათ თითქოს მიზანს.
ერთად შეიკრა გუნდი არწივთა
და თავს ესხმიან ხომალდებს მტრისას.

დაბრუნდნენ. შეხვდნენ ფართო
ველები,
არწივთა გუნდიც მათ ქარს მიენდო.
ზღვაზე კი მოხდა საკვირველება —
ჩამავალი მზის ხანძარი ენთო.

III

შეჩერდნენ მტრები. შენიშნეს შორით
ყუმბარისაგან ათხრილი მიწა,
მიუახლოვდნენ ბალახებს შორის
თვალდახუჭული ჭაბუკი იწვა.

სუნთქავდა ოდნავ, არაფერს გრძნობდა,
მტრებმა კი მაინც რათ იგრძვნეს
შიში?!

თავიდან ქუდი გადავარდნოდა
ხელი სიმწრისგან ავსო ქვიშით.

ტყის ახლოს ულევ შეირხა ჩრდილი,
ცეცხლი გაუხსნეს მათ სოფლის
ბოლოს.

აქ კი მოესმათ კვნესა დაჭრილის:
„რატომ არ ძალმიძს მეც
შეგებრძოლოთ".

IV

წუხელ რა მძიმე სიჩუმე იყო,
მაგრამ ამ დილით მიდიან საით?
რიჟრაჟმა ცაზე წერა დაიწყო:
„სამშობლოსათვის, სტალინისათვის!"

როცა ცისკარმა გამოანათა
შეტევისათვის მზადება მორჩა.
აი, სოფელი ჩნდება თანდათან
შორით მდინარის ნაპირი მოსჩანს.

აქა-იქ აჩენს მზის ოქროს ზოლებს
დილის ნიავი მართალი, გამრჯე.
და ჩაჩურჩულებს წითელ მებრძოლებს:
„თქვენ გაიმარჯვებთ!"

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲣᲚᲘ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ" ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ფაშიზმი აწარმოებს სისხლისმღვრელ ომს ყველა ხალხთა წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ, კულტურისა და პროგრესის წინააღმდეგ. ჰიტლერს და მთელ მის ხროვას სურთ საშუალო საუკუნეებში დააბრუნონ ცივილიზებული კაცობრიობა, აღადგინონ ინკვიზიციისა და მონობის ეპოქა. მსოფლიოს ყველა ხალხები ფაშისტური გერმანიის მონები უნდა გახდნენ—ასეთია ჰიტლერის მიზანი.

უკვე დღეს მსოფლიო შეძრწუნებულია ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ხალხთა გმინვით. მდინარეებად იღვრება ფაშისტი ბარბაროსების მიერ წამებულ და ტანჯულ ასეულათასობით ადამიანთა სისხლი.

ფაშისტ დემაგოგთა საზიზღარ სიცრუეს იმის შესახებ, თითქოს ისინი ევროპაში „ახალ წესრიგს" ჰქმნიან, მთელი მსოფლიოს ხალხები გულისწყრომით ხვდებიან. ჰიტლერის „ახალი ევროპა" წარმოადგენს გიგანტურ საკონცენტრაციო ბანაკს, რომელიც შექმნეს ფაშისტმა ბარბაროსებმა მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხებისათვის.

ევროპაში „ახალი წესრიგის" დამყარება ჰიტლერელთა ბანდამ დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი წაართვა. ეს „ახალი წესრიგი" აღინიშნა ფაშისტური ტერორის ველური პარპაშით, რაც დღემდე გრძელდება. სუდეტის ოლქი ავსებულია ფაშისტური საიდუმლო პოლიციის—გესტაპოს აგენტებით. შიმშილი და სიღატაკე სულს უხუთავს მასებს, ვინაიდან ფაშისტები სურსათის რეკვიზიციას ახდენენ და ჩამორთმეული სურსათი გერმანიაში გააქვთ. შიმშილისა და დასუსტების ნიადაგზე გლეხობაში სხვადასხვა ავადმყოფობა მძვინვარებს.

ოკუპირებულ ქვეყნებში „ახალი ევროპის" ფაშისტი ორგანიზატორები აიძულებენ მუშებს იმუშაონ 12-14 საათი დღეში, მათი თვიური ხელფასი კი 50-60 მარკას შეადგენს, რაც საშიმშილო ულუფის საფასურადაც არ კმარა.

ვერც წვრილი ვაჭრები, მოსამსახურენი და გლეხები ცხოვრობენ მუშებზე უკეთ. მათაც ისევე, როგორც მუშებს, სულს უხუთავენ გადასახადებითა და ყოვლენაირი ხარკებით. ჩრდილოეთ ჩეხიაში ექიმი, რომლის წლიური შემოსავალი 30 ათას მარკას შეადგენს, 24 ათას მარკა გადასახადს იხდის, ხოლო ამავე დროს გერმანელი ფაშისტი მეწარმენი, რომელთა წლიური შემოსავალი 100-150 ათას მარკას შეადგენს, სრულიად თავისუფალი არიან გადასახადებისა და გამოსაღების გადახდისაგან.

პოლონეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ბელგიის მშრომელნი უმაგალითო გაჭირვებას განიცდიან. ფაშიზმის მმუნიმა ამ ქვეყნებში ყველა სახის საშუალოსაუკუნეობრივ ძალადობას სჩადის. პოლონეთში უამრავი ებრაელები და პოლონელები გამომწყვდეულნი ჰყავთ საკონცენტრაციო ბანაკებში, სიდაც ფაშისტური პოლიციის ზედამხედველობით მათ ყოველდღე მიერეკებიან სამუშაოზე, ღამით კი კვლავ პირუტყვივით ამწყვდევენ ბანაკებში. სამუშაოდან დაბრუნებისას ყველა პატიმარს აიძულებენ ჯიბეები გადმოაბრუნონ პოლიციელის თვალწინ, რომელიც „პირადად" უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ არავის არ გადაუმალავს ერთი ლუკმა პური, ერთი შეხვევა თამბაქო. კოტადიენი ბურღული და სხვ. ამ ბანაკებში ათეულათასობით ადამიანები დაუსრულებელ წამებას განიცდიან. მათ ძალით ერეკებიან იმ ადგილებში, სადაც კანალიზაციის სიბინძურე ჩამოდის, აიძულებენ „იბანონ", ერთმანეთი „გაბანონ". „იცეკვონ" ფაშისტ უფროსთა გასართობად.

გერმანიის ფაშისტები ჯალათები არიან არა მარტო ევროპის ხალხებისა, არამედ თავისი საკუთარი ხალხისაც. ულმობლად სძარცვავენ რა გერმანელ ხალხს და ეწევიან რა მის ექსპლოატაციას, ისინი თავხედურად ატყუებენ მას იმით, რომ ჰპირდებიან უკეთეს ცხოვრებას მსოფლიოში „ახალი" ფაშისტური „წესრიგის" დამყარების შემდეგ. ჯერჯერობით კი ფაშისტთა ხროვა გერმანიისა და დამონებული ქვეყნების მშრომელი მასების სისხლითა და ტანჯვით მდიდრდება. ამერიკული ჟურნალი „ფრაიდეი" 1941 წლის 18 აპრილის ნომერში იუწყებოდა: „გებელსმა ომის დასაწყისში თავის აგენტ ვილჰელმ ანტერბერგის დახმარებით ბუენოს-აირესის ბანკების სეიფებში 1.850 ათასი ამერიკული დოლარი შეინახა; გარდა ამისა, მას 4.635 ათასი დოლარი კაპიტალდაბანდებები აქვს სამხრეთ ამერიკაში. გერინგი სან-პაულოს (ბრაზილია) № 1 ბანკის სეიფში ინახავს 2 მილიონამდე დოლარს. რიბენტროპი ამერიკის ბანკებში ინახავს 3.165 ათას დოლარ პირად კაპიტალს..."

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ გერმანიის ფაშისტი მესვეურნი—ჰიტლერი, გერინგი, გებელსი, რიბენტროპი და კომპ. — თავზეხელაღებულ ბანდიტთა ხროვაა.

კოლოსალურ ქონებას იძენენ რა ომისა და ძარცვის საშუალებით, ფაშისტი მმართველები ამ ქონებას თავისი საკუთარი ხალხისაგან რაც შეიძლება შორს ინახავენ—უცხოეთის ბანკებში, ვინაიდან გრძნობენ, რომ „ერთი საათით ხალიფები" არიან, რომ მათი ყაჩაღური ბატონობა ხანმოკლეა. და ამავე დროს ცინიკური უსირცხვილობით მოუწოდებენ გერმანიის დამშეულ ხალხს „მოთმინება იქონიოს" „სამშობლოს საკეთილდღეოდ".

აი ამ უსირცხვილობის ნიმუში. ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა ამასწინათ მოსახლეობას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია: „ბერლინის ბევრმა მცხოვრებმა — ქალებმა და კაცებმა, — რომლებმაც ამ ბოლო დროს შემოიტანეს განცხადებები ფეხსაცმლის შესაძენად ტალონების მიცემის შესახებ, — უარი მიიღეს. გასაგებია და ადამიანურად დასაბუთებულია, რომ ახალი ფეხსაცმლის შეძენა გსურთ, მაგრამ უეჭველია, ამა თუ იმ საშუალებით შეიძლება ერთხანს კიდევ მოითმინოთ... მაშინ თქვენ დაამტკიცებთ, რომ დიადი დღეების ღირსი ხართ..."

გერმანიის ფაშისტი ტურების პოლიტიკა სხვა ხალხების მიმართ ემყარება პრინციპს „გასთიშე და იბატონე". ისინი მათ მიერ დამონებულ ერთ ხალხს უსისინებენ მეორეს, სთესენ ნაციონალურ შუღლს.

„მას შემდეგ, რაც ტრანსილვანია უნგრეთის ხელში გადავიდა, — იუწყებოდა შარშან შემოდგომაზე ბუქარესტის რადიოსადგური, — დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. ერთ ადგილას უნგრელებმა 20 რუმინელი მოჰკლეს. ერთი მათგანი სვეტზე მიაკრეს და ხიშტებით დაჰკლეს. მეორე ადგილას დახვრიტეს 155 რუმინელი მამაკაცი, ქალი და ბავშვი, მათ შორის აკვანში მწოლარე ჩვილიც კი; ერთი რუმინელი ცოცხლად დასწვეს, ხოლო წინასწარ მას ხელები დაამტვრიეს. ამავე დასახლებულ პუნქტში ერთი რუმინელი მოძღვარი იქამდე აწამეს, სანამ მან ფეხებს მიღმა არ დაემხობა. ერთ სოფელში უნგრელებმა ამოხოცეს 99 კაცი, მათ შორის ოთხი წლის გოგონა. ორი რუმინელი მოძღვარი აიძულეს თვითონ გაეთხარათ თავისთვის საფლავები, რის შემდეგ ისინი დახვრიტეს. გუშინ სასოფლო გზაზე 27 გვამი იპოვეს. გარდა ამისა, ერთერთ სოფელში იპოვეს 17 რუმინელის გვამი. მეორე ადგილას რუმინელებს აწამებდნენ, სხეულზე ხორცს ამოსჭრიდნენ, ქრილობებზე კი მარილს აყრიდნენ...".

ყველგან, სადაც კი ფაშისტებმა ფეხი შესდგეს,—სისხლი, მკვლელობა, ტერორი, შიმშილი, სიღატაკე, გაპარტახებაა. ასეთია ჰიტლერული „ახალი წესრიგი" ევროპაში.

Გ. Დ.

ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ

— მოდის ფაშისტთა ტანკების კოლონა,—აცნობა მზვერავმა ტანკის მეთაურს პეტრე ნოვიკოვს, — 68 მანქანა. აქ გზა ერთია, ორივე მხარით ჭაობია. კარგი იქნებოდა სეირი მოგვეწყო...

ნოვიკოვმა სწრაფად შეაფასა ვითარება. რასაკვირველია, შეგვიძლია დავბრუნდეთ სატანკო ბატალიონთან და ყველაფერი მოვახსენოთ მეთაურს, აქ ხომ სულ 3 ტანკია ჩასაფრებული, მაგრამ მაშინ ფაშისტები მოასწრებენ მათთვის საშიში ადგილის გამოვლასო.

— გაიქე ბატალიონში, — მოახსენე მეთაურს, რომ ჩვენ აქ გავუმართავთ ბრძოლას, — უბრძანა მზვერავს ნოვიკოვმა.

მზვერავი ბუჩქებში მიიმალა და მოაძახა: „მოვახსენებ!"

სამი ტანკის მეთაურები შეთანხმდნენ მოქმედების გეგმის შესახებ. ნოვიკოვის გეგმა ფრიად მარტივი იყო: მტრის კოლონას საშუალებას აძლევენ გამოვიდეს გზაზე ჭაობებს შორის, ნოვიკოვის ტანკი კოლონის ბოლოს ურტყამს, მეორე ტანკი — კოლონის თავს, მესამე — მწყობრს ანგრევს შუაში.

გამოჩნდნენ მტრის ტანკები. ნოვიკოვმა დათვალა ისინი — 68. დაზვერილია შესანიშნავად!

როდესაც მტრის მანქანები მოახლოვდნენ, ნოვიკოვმა გასცა ბრძანება:

— ფაშისტ არამზადებს — ცეცხლი!

ზედიზედ ხვდებოდა ყუმბარა კოლონის ბოლოს. ყუმბარები აყირავებდნენ ფაშისტთა ტანკებს, ამსხვრევდნენ მათ. უკვე მეათე გასროლის შემდეგ უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. ამავე დროს სხვა ორი ტანკი უშენდა მწყობრში არეულ ფაშისტურ ტანკებს, რომელნიც ერთმანეთს ეხეთქებოდნენ.

ფაშისტთა რამდენიმე ტანკმა სროლა ასტეხა. ნოვიკოვმა უბრძანა გადაეტანათ ცეცხლი შუა კოლონაში. იქითკენვე მიმართა ცეცხლი დანარჩენმა ორმა ტანკმა. მტრის უწესრიგო გაფანტულ ცეცხლს საბჭოთა ტანკისტები უპასუხებდნენ კონცენტრირებული დარტყმით. ესროდნენ პირდაპირ, აუცდენლად.

ფაშისტთა ორი ტანკი განზე გავიდა. ნოვიკოვმა უბრძანა, არ ესროლოთ. დაე საბჭოთა მიწამ თვითონ დასაჯოს ისინიო. მართლაც, ტანკები თანდათან ეფლობოდნენ, სულ უფროდაუფრო დაბლა მიდიოდნენ. ფაშისტებმა სარკმლები გახსნეს, ტანკში შეგრიალდა ჭაობის წყალი და ტალახი. არცერთი ბანდიტი არ გადარჩენილა.

ფაშისტთა ტანკებს ზემოთ შუშხუნა ავარდა, გერმანელები ღასახმარებლად იწვევდნენ თავიანთ ავიაციას.

— ცეცხლი! — უბრძანა ნოვიკოვმა.

მეკოშკურემ უპასუხა: „უკანასკნელი ჭურვია".

მაგრამ ფაშისტთა კოლონას უკვე აღარ შეეძლო ადგილიდან დაძვრა, მხეცი ხაფანგში იყო მოქცეული. ფაშისტთა ტანკები წრიალებდნენ, გზიდან გადადიოდნენ, ჭაობში ეფლობოდნენ. ჭაობი შინებდა და სდუღდა, როგორც უზარმაზარი ქვაბი.

გაისმა მოტორების გუგუნი, ბრძოლის ადგილას მოფრინავდნენ ფაშისტთა თვითმფრინავები. ისინი დიდი ყალიბის ფუგასურ ყუმბარებს ჰყრიდნენ. მაგრამ ეს რა ამბავია? ყუმბარები სულ უფროდაუფრო ახლოს ვარდება ფაშისტთა კოლონასთან! სვავებს დავთარი აერიათ. შემდეგ მტრის თვითმფრინავებმა შესწყვიტეს ყუმბარის დაშენა, წრე მოავლეს ტყის თავზე და გაფრინდნენ.

4 საათს გაგრძელდა სამი ტანკის მიერ 68 ტანკის შემუსვრა. რამდენიმე ტანკის გამოკლებით, ფაშისტთა ტანკები სრულიად განადგურებულ იქნენ. არცერთი საბჭოთა ტანკი არ დაზიანებულა. ნოვიკოვის ტანკს მტრის ყუმბარები სრულიად არ მოხვედრია.

მოვიდა ჩვენი ქვეითი ჯარი, ტანკისტები მანქანებიდან გამოვიდნენ, რათა ენახათ თავიანთი ნამოქმედარი. ნოვიკოვმა მოსძებნა ფაშისტთა კოლონის მეთაურის მანქანა და ტანკიდან გადმოისროლა დოკუმენტებით სავსე 2 ტყავის ჩანთა, საბჭოთა პასპორტების დასტა გერმანელთა ახალდაკრული ფოტოგრაფიებით და შემწვარი გოჭი. გაისმა ხარხარი. — „აი ფაშისტთა ერთადერთი „საბრძოლო" ნადავლიო,—ამბობდნენ მეომრები, — მაგრამ იგიც არა ხვდათ ფაშისტებს".

★

საღამო იყო. უკვე გაუთავდათ მთელი საბრძოლო მარაგი. კოშკურას მსროლელმა რაღაცა სთქვა. ნოვიკოვი მისკენ მიბრუნდა და დაინახა, რომ მისი მებრძოლი მეგობარი ნელნელა ეშვება ძირს. ნოვიკოვმა ხელი სტაცა მეომარს და დაუწყო ჭრილობის შეხვევა. დაშვებისას მეკოშკურე შემთხვევით წაედო ჩახმახს. გაისმა უკანასკნელი გასროლა. უკანდაქანებულმა ქვემეხმა ნოვიკოვს მარჯვენა ხელის თითები დაუჭეჭყა.

მან გაჭირვებით მიიყვანა მანქანა ტყემდე საფარში, შეიხვია ხელი. საფარში მოიტანეს საომარი მასალა, ნოვიკოვიც მოამარაგეს. დაუნიშნეს ახალი მეკოშკურე მსროლელი. ნოვიკოვი ტანკში შესვლას აპირებდა, როდესაც მის გვერდით გაჩერდა დივიზიის მეთაურის მანქანა.

— ამხანაგო ნოვიკოვო, გერმანელთა ტანკების განადგურება ჭაობში თქვენი ნამოქმედარია?

— დიაღ, — მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა ტანკისტმა.

დივიზიის უფროსს უნდოდა ხელის ჩამორთმევა. ნოვიკოვმა მარცხენა ხელი გაუწოდა. დივიზიის მეთაურმა თანაგრძნობით შეხედა მას.

— მანქანის მართვა შეგიძლიათ?

— შემიძლია.

— საჭიროა ზურგიდან გაიჭრათ მტრის საარტილერიო ბატარეისაკენ.

ნოვიკოვის ტანკი დაიძრა. იგი ჰქელავდა ბუჩქებს და ახალგაზრდა არყებს და მიჰქროდა დანიშნულ ადგილისაკენ.

აი მტრის განლაგებაც. ბატარეასთან მისვლა შეიძლება მხოლოდ გაშლილი მინდვრით. ნოვიკოვი წინ წავიდა და ერთბაშად მოხვდა მტრის ქვემეხის ცეცხლში. ათი ყუმბარა მოხვდა ტანკს. არცერთ ადგილას არ გახვრეტილა იგი! საბჭოთა ლითონი ღირსეულად იცავს საბჭოთა ადამიანებს.

ნოვიკოვმა დააყარა მსხვრევადი ყუმბარა და, როდესაც მიუახლოვდა, სეტყვასავით დაუშინა ტყვიამფრქვევი ბატარიის გუნდს. ზოგიერთი გერმანელი ჰავისკენ გაიქცა, სხვები მაღალ ნაპირიდან მდინარეში გადახტნენ. ნოვიკოვის ტანკმა მილეწა ქვემეხი და წინ გასწია. ბატარიისაკენ უკვე მირბოდნენ საბჭოთა ქვეითელები. ტყეში გაისმა წითელარმიული „ურა".

Ა. ᲯᲐᲛᲐᲚᲐᲜᲘ

რუზველტის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 2 აგვისტო (საქდესი). პასუხად კორესპონდენტების თხოვნისა გამოეთქვა თავისი აზრი იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც წითელი არმია უწევს გერმანიის შეიარაღებულ ძალებს, რუზველტმა თეთრ სახლში შემდგარ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ეს წინააღმდეგობა საუცხოოა და, გულახდილად რომ ითქვას, უკეთესია, ვიდრე გერმანიის რომელიმე სამხედრო ექსპერტს შეეძლო წარმოედგინა“.

თუმცა კორესპონდენტებს ჩვეულებრივ ეკრძალებათ პირდაპირ მოიყვანონ ციტატი პრეზიდენტის განცხადებიდან, რომლებითაც იგი გამოდის თეთრ სახლში პრეს-კონფერენციაზე, ამის მიუხედავად რუზველტმა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ტრადიციას გადაუხვია და ნება დართო კორესპონდენტებს უშუალოდ მოეყვანათ მისი აზრი იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც წითელი არმია უწევს მტერს.

უოლესის განცხადება

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, 31 ივლისს ბარლინგტონში (აიოვას შტატი) ახალი სამხედრო ქარხნის გახსნაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უოლესი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებენ მშვიდობიანობის შენარჩუნებას, თუ ისინი გამოიჩენენ საკმაო სურვილს „ჩაებან ომში, უკეთუ ეს აუცილებელი იქნება“. ომის ალი, სთქვა უოლესმა, „მთელს მსოფლიოს ედება, როგორც ტყის ხანძარი“. შეეხო რა გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებს, უოლესმა სთქვა: „განთიადი უფრო მალე დადგება, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ჰიტლერიზმის მიერ ჩაგრული, უბედური, უმწეო მსხვერპლნი უკვე გონს მოდიან“.

ამერიკის ჟურნალი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის შესახებ

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საქდესი). ჟურნალი „ფორეინი“ იუწყება, რომ ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეებთან მჭიდროდ დაკავშირებული კორესპონდენტი აღფრთოვანებულ შეფასებას აძლევს წითელი არმიის ოპერაციებს.

ვაშინგტონმა იცის, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ნაციონალ-სოციალისტებმა დიდი ზარალი ნახეს. გერმანიის ოფიციალური პირები, რომლებიც ვისბადენში (დროებითი ზავის კომისიის ადგილსამყოფელი) იმყოფებიან, პესიმისტური ტონით ლაპარაკობენ რუსეთის კამპანიაზე, — სწერს ჟურნალი.

გადმოგვცემენ, — განაგრძობს ჟურნალი, — რომ რუსებს ისეთი ტანკები აქვთ, რომლებსაც გერმანიის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები ვერა ხვრეტავენ. ზოგიერთი ტიპის საბჭოთა ყუმბარმშენი გერმანიის მოიერიშე ყუმბარმშენებს სჯობს. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ერთმა ცნობილმა გერმანელმა გენერალმა აშკარად აღიარა, რომ არ გამართლდა გერმანიის იმედი სწრაფი გამარჯვებისა. რუსები, — განაცხადა გენერალმა, — უკეთ იბრძვიან, ვიდრე გერმანიის სხვა რომელიმე მოწინააღმდეგენი. საბჭოთა ჯარის მატერიალური ნაწილი უფრო მაღალი ღირსებისა აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოველოდით. საბჭოთა საომარი მასალის მარაგი, როგორც სჩანს, ულეველია.

გერმანიას ნავთის მარაგი გამოელია

ლონდონი, 3 აგვისტო (საქდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ რუსეთთან ერთი თვის ომის განმავლობაში გერმანიის ტანკებმა, ჯავშნიანმა მანქანებმა და თვითმფრინავებმა ორჯერ უფრო მეტი საწვავი დახარჯეს, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდნენ. რუმინეთის ნავთსარეწებმა არ გაამართლეს გერმანიის იმედები. გერმანია ვარაუდობდა, რომ რუმინეთისაგან 4-5 მილიონამდე ტონა ნავთს მიიღებდა წელიწადში. რუსეთის ავიაციის ინტენსიურმა თავდასხმამ პლოეშტის ნავთსარეწებზე და რუსების მიერ ბომბარდირებით გამოწვეულმა სატრანსპორტო დაბრკოლებებმა მკვეთრად შეამცირეს გერმანიის მომარაგება რუმინეთის ნავთით. უკვე ახლა გერმანია განიცდის საცხებ ზეთთა მწვავე ნაკლებობას, რომელთა მარაგი გერმანიაში იმდენად უმნიშვნელოა, რომ გერმანელებს არა აქვთ შესაძლებლობა რკინიგზის ვაგონების საცხებად გამოიყენონ იგი, რაც იწვევს მატარებლების ხშირ შეჩერებას და მოძრაობის შენელებას რკინიგზებზე.

გერმანიის ხელისუფლება დაჭრილებს ველარსად აჩვევს

ჟენევა, 3 აგვისტო (საქდესი). გერმანიის ხელისუფალთა წარმომადგენლები სერიოზულ სიძნელეებს წააწყდნენ დაჭრილთა განლაგების საკითხში, რადგან გერმანელ დაჭრილთა რიცხვი კატასტროფული სისწრაფით მატულობს. პირველ ხანებში დაჭრილებს მეტწილად აბინავებდნენ პოლონეთში, უნგრეთსა და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში, რათა გერმანიის მოსახლეობისათვის დაემალათ უდიდესი ზარალი აღმოსავლეთის ფრონტზე. მალე ყველა ჰოსპიტალი გაივსო. იძულებული იყვნენ უამრავი დაჭრილი გერმანიაში გაეგზავნათ. აქ ხელისუფალნი ძალიან მალე წააწყდნენ სიძნელეებს დაჭრილთა განლაგებისა და კვების მხრივ. ფაშისტმა ხელმძღვანელებმა დაბრკოლებას თავი დააღწიეს, ჩვეულებისამებრ, ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის ხარჯზე. ბერლინის ბრძანებით, პარიზის რადიომ საფრანგეთის ოკუპირებული ზონის მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ყოველი ოჯახი მოვალეა ხელისუფალთა მითითებით ერთი თვის ვადით მიიღოს დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცები, მისცეს მათ საცხოვრებელი ბინა და საზრდო.

გერმანიის მძიმე დანაკლისი აღმოსავლეთის ფრონტზე

სტამბოლი, 3 აგვისტო (საქდესი). სტამბოლის ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, რომ გერმანელები ყოველდღე ჰგზავნიან აღმოსავლეთის ფრონტიდან დაჭრილებით სავსე 18-20 მატარებელს. გერმანიის ჰოსპიტლებში ადგილი აღარ დარჩა. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მთელს გერმანიაში შესამჩნევად იმატა იმ პირთა რაოდენობამ, რომელნიც ძაძას ატარებენ ფრონტზე დაღუპულთა გლოვის ნიშნად. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აკრძალეს ძაძის ტარება ნათესავთა გლოვის ნიშნად, რომელნიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ აღმოსავლეთის ფრონტზე.

გერმანიიდან ჩამოსული ჟურნალისტები აცხადებენ, რომ გერმანიაში უამრავი დაჭრილის ჩაყვანა ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მოსახლეობაზე. დაჭრილებთან შეხვედრისას ბევრი გერმანელი აშკარად გამოსთქვამს აღშფოთებას ჰიტლერელთა ხროვის მიერ დაწყებული ავანტიურის გამო.

ლონდონი, 3 აგვისტო (საქდესი). ლონდონის ჩეხოსლოვაკთა ოფიციალურ წრეებში მიღებულია ცნობები, რომ გერმანიის ჯარის ნაწილებმა, რომელნიც სუდეტელი გერმანელებისაგან შესდგებოდნენ, უდიდესი დანაკლისი განიცადეს რუსეთის ფრონტზე. თითქმის ყოველ სოფელში ვინმეს მოსდის ცნობა ოჯახის წევრის დაღუპვის შესახებ.

სტოკჰოლმი, 3 აგვისტო (საქდესი). როგორც გაზეთი „აფტონბლადეტი“ იუწყება, აღმოსავლეთის ფრონტზე მოჰკლეს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ფრიკის შვილი, კავალერიის ლეიტენანტი ქალტერ ფრიკი.

შვეციის პრესა ემყარება გაზეთ „ბერლინერ ბერზენციტუნგის“ ცნობებს და გადმოგვცემს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე დაიღუპა გენერალ-ლეიტენანტი იოსებ ლეოპოლდი.

გულგატეხილობა და იმედგაცრუება გერმანიაში

ლონდონი, 3 აგვისტო (საქდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გერმანიის საზღვრიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ გერმანიის მოსახლეობის პოლიტიკურ-მორალური განწყობილება მკვეთრად გაუარესდა. ჩქარი გამარჯვების რწმენა ნერვიულობითა და შეშფოთებით შეიცვალა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ დაუსრულებლივ მოდის დაჭრილებით სავსე მატარებლები და დღითი-დღე მატულობს დაღუპულთა სიები, რომლებსაც გაზეთებში აქვეყნებენ. მკვეთრად შეიცვალა გერმანული პრესის ტონი. [illegible]

...სოწარკვეთილებას არ მიეცნენ დიდძალი დაჭრილის ჩამოყვანისა და გაზეთებში დაღუპულთა სიების ხშირად ბეჭდვის გამო.

ყველასთვის სავსებით ნათელია, რომ გერმანიის ჯარს უკვე ახლა უდიდესი ზარალი მოსდის. ამაოა გერმანული პროპაგანდის ცდა დაამშვიდოს მოსახლეობა. ინგლისისა და ამერიკის დახმარება საბჭოთა კავშირისადმი კიდევ უფრო აძლიერებს შეშფოთებას გერმანიაში. გერმანიაში ჩამოყვანილი დაჭრილები აღნიშნავენ, რომ ელვისებური ომის მეთოდები ჩაიფუშა; რუსები საუცხოოდ არიან შეიარაღებულნი და უმაგალითო გულადობას იჩენენ ბრძოლაში. [illegible]

გერმანიის ფაშისტთა უდიდესი სიძნელეები ბალკანეთში

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯონ უოლისი ანკარიდან იუწყება, რომ იქ მიღებული ცნობები მოწმობენ უდიდეს სიძნელეებს, რომლებსაც გერმანიის ფაშისტები აწყდებიან ბალკანეთში იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობა დღითი-დღე აძლიერებს წინააღმდეგობას. იუგოსლავიის მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა დამატებით გაეგზავნა იუგოსლავიაში 25 ათასი ჯარისკაცი. საბოტაჟის აქტებმა საშიში ხასიათი მიიღეს, სიკვდილით მასობრივი დასჯაც კი ვერ აჩერებს ამ აქტებს.

ბერძნების ნაციონალური სულისკვეთება არ შერყეულა. ყოველდღე ნახავთ კედლებს, ტროტუარებსა და ფაშისტთა ავტომობილების უკანა კედლებსაც კი, რომლებსაც აწერია სიტყვები „რაფ“ (ინგლისის სამეფო ავიაცია), „ვ“ (გამარჯვების სიმბოლო) და „გაუმარჯოს ინგლისს“. მოსახლეობა ყველგან მიესალმება ინგლისის სამხედრო ტყვეებს საბერძნეთში. ინგლისის თვითმფრინავების გამოჩენას დიდი სიხარულით ხვდებიან.

საბერძნეთში მყოფ გერმანელებსა და იტალიელებს შორის მუდმივი კინკლაობაა: ისინი ერთი-მეორის განკარგულებებს არა სცნობენ. გერმანელები სავსებით აშკარად აყენებენ შეურაცყოფას იტალიელებს. გერმანიის ჯარი ომისაგან ძალიან დაიღალა, მისი მორალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა იმ დამარცხების შედეგად, რასაც გერმანია განიცდის. საბერძნეთიდან გაიწვიეს იტალიის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგიერთი მათგანი კუნძულებზე და იტალიაში გაჰგზავნეს.

რუმინეთში ძლიერდება ფარული ბრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ. აშკარა გამოსვლის ყოველგვარ გამოხატულებას იქ „კომუნისტურ საქმიანობად“ სთვლიან და სასტიკად სდევნის პოლიცია. დიდმა ზარალმა, რაც რუმინეთის ჯარს რუსეთის ფრონტზე მოსდის, რუმინეთში იმედის გაცრუება და გულგატეხილობა გამოიწვია. ძლიერდება ოპოზიცია მთავრობისადმი. ამასწინათ ბუქარესტში დახვრიტეს 50 კაცი, ისმი— 2-3 ათასი კაცი და არა 300 კაცი, როგორც ეს ოფიციალურად იყო გამოცხადებული.

მოკლულთა გრძელი სიები ავსტრიაში გერმანიისადმი უაღრესად მტრულ დამოკიდებულებას იწვევენ, მოსახლეობა ჰფიქრობს, რომ ავსტრიელებს ყველაზე უფრო საშიშ ადგილებში ჰგზავნიან. იმისათვის, რომ დამალონ ის უდიდესი ზარალი, რაც გერმანიის არმიას მოსდის, დაჭრილებს ახლა სლოვაკიასა და პროტექტორატში ჰგზავნიან.

რუსეთზე გალაშქრებამ უდიდესი ანტიგერმანული გრძნობები გამოიწვია ბულგარეთში, სადაც გლეხები ხრამში აგდებენ მატარებლებს, რომლებსაც გერმანიის ჯარები გადაჰყავთ. გაძლიერდა აგრეთვე ბულგარეთის მოსახლეობის მტრული დამოკიდებულება იტალიისადმი. გერმანიის ხელისუფალნი იძულებული არიან საგანგებო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ ჩაახშონ ანტიფაშისტური აგიტაცია, რაც აგრეთვე არმიაშიც იჭრება. სასტიკი სასჯელი მოელის იმათ, ვინც რუსულ ან ინგლისურ რადიოს მოისმენს. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის დესპანმა ბულგარეთში ბექტერლემ მეფე ბორისს წინადადებით მიმართა 3 დივიზია გაჰგზავნოს საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად. გერმანელები ბულგარეთში ყიდულობენ ყველაფერს. მათ იმდენი თამბაქო გაზიდეს, რომ ახლა ბულგარეთში პაპიროსის ნაკლებობაა. ლეის სყიდვითი უნარი დღითიდღე ეცემა.

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ იუგოსლავიაში დღითი-დღე მატულობს საბოტაჟის აქტები, ფართოვდება ანტიგერმანული მოძრაობა. იუგოსლაველი სნაიპერები გერმანელ ჯარისკაცებს ესვრიან, პარტიზანები სწვავენ გერმანელების მიერ კონფისკებულ პურს, ელექტროსადგურთა დაზიანების გამო მთელი ქალაქები სიბნელეშია. საბოტაჟის აქტები ხდება მთელს იუგოსლავიაში. გერმანელებს არ ძალუძთ ეფექტიური ბრძოლა აწარმოონ მათ წინააღმდეგ. ახლა გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მასობრივ რეპრესიებს მიმართეს. ბელგრადიდან მიღებულ ცნობებში მოხსენებულია სიკვდილით დასჯის არა ერთეული შემთხვევები, არამედ უკვე ლაპარაკია რეპრესიებზე, რომლებსაც ყოველდღიურად მიმართავენ ასობით პირთა წინააღმდეგ. მარტო 31 ივლისს ერთი დღის განმავლობაში ბანატში სიკვდილით დასაჯეს 90 კაცი. ამ დღეს მთელს იუგოსლავიაში სიკვდილით დასჯილთა რაოდენობა 480 კაცს უდრის. მაგრამ სიკვდილით დასჯილთა ნამდვილი რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ამ ციფრს.

საგანგებო მდგომარეობა ნორვეგიაში

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჰიტლერის ნაცვალმა ნორვეგიაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა მთელს ნორვეგიაში. საგანგებო მდგომარეობის კანონის საფუძველზე ცალკეულ რაიონებში და მთელს ნორვეგიაშიც კი შეიძლება შემოღებულ იქნას სამხედრო წესები.

ნორვეგიელ რკინიგზელთა გაფიცვა

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო (საქდესი). როგორც გაზეთი „ვესტმანლანდს ლენს ტიდნინგი“ იუწყება, ნორვეგიაში სირლანდის, რერუსისა და ნორლანდიის რკინიგზების მშენებლობის დიდ სამუშაოებზე, უსასტიკესი ტერორის მიუხედავად, მუშებმა რამდენიმე გაფიცვა მოაწყეს და პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ მათ აიძულებენ იმუშაონ გერმანელ ოკუპანტთა საომარი მიზნებისათვის. სამუშაოთა უფროსმა გამოაცხადა, რომ „ამიერიდან გაფიცვა გერმანიის სამხედრო კანონების მიხედვით დაისჯებაო“.

საალყო წესები ნორვეგიის ქალაქ ოლესუნდში

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ქალაქ ოლესუნდში, 150 მილზე ბერგენის ჩრდილოეთით, საალყო წესები გამოაცხადეს. გერმანელთა წინააღმდეგ საბოტაჟისა და დემონსტრაციების მრავალ შემთხვევასთან დაკავშირებით, დაპატიმრებულია 10 ცნობილი მოქალაქე, რომლებიც მძევლებად ჰყავთ გემზე. ქალაქის 5 ათასი მცხოვრები შეეცადა ძალით გაეთავისუფლებინა მძევლები, მაგრამ გამოწვეულმა გერმანიის ჯარმა „წესრიგი აღადგინა“.

გერმანელები სამხედრო მანევრებს ატარებენ სტავანგერში და ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროს სხვა პუნქტებში, სადაც სწმენდენ დიდ ტერიტორიებს აეროდრომებისა და სხვა სამხედრო ობიექტების ასაგებად. ამ რაიონების ათასობით მცხოვრები ნორვეგიის შიდა რაიონებში გადაასახლეს. აქ მოძრაობა შეწყვეტილია. გადასახლებულთა შორის უდიდესი უკმაყოფილებაა.

სერბი ხალხის ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო (საქდესი). ამერიკული პრესის ცნობებით, სტამბოლის ბალკანელთა კარგად ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ დიდძალი ხალხის სიკვდილით დასჯის მიუხედავად, სერბიაში დღითი-დღე მატულობს საბოტაჟის აქტები. პარტიზანები, რომელთა მოქმედება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დასაწყისიდან უაღრესად გაცხოველდა, სპობენ ტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირგაბმულობას, ელექტროგადაცემისა და რკინიგზის ხაზებს, ხიდებს, გზატკეცილებს. ბელგრადში მყოფმა გერმანელთა სარდლობამ მარიონეტულ სამოქალაქო ხელისუფალთა მეთაური აჩიმოვიჩი გააფრთხილა, რომ საბოტაჟი შეწყვეტილ უნდა იქნას, თორემ მთელ სერბიაში ხალხს კვლავ მასობრივად დაისჯით სიკვდილით.

28 ივლისს ბელგრადში სიკვდილით დასაჯეს 122 სერბი.

ბულგარეთის რადიომ გადმოგვცა, რომ გერმანელ ჯარისკაცთა მკვლელობებთან დაკავშირებით, გერმანელთა ხელისუფლებამ კვლავ უბრძანა ყველა სერბს ჩააბაროს იარაღი.

სირიული გაზეთი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პერსპექტივების შესახებ

ანკარა, 3 აგვისტო (საქდესი). სირიული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს წითელი არმიის საბრძოლო თვისებებსა და თანამედროვე მექანიზებული ომის წარმოების უნარს. გაზეთები რწმენას გამოსთქვამენ, რომ ჰიტლერი დამარცხებულ იქნება წითელი არმიის მიერ.

გაზეთი „მატენი“ სწერს: ზურგში პარტიზანული ომის შედეგად გერმანელები დიდ სიძნელეებს განიცდიანო.

ეხება რა წითელი არმიის საბრძოლო თვისებებსა და მტკიცე ბრძოლას, გაზეთი სწერს: „საბჭოთა არმია კვლავ ჩინებულად იბრძვის. მას მნიშვნელოვანი რეზერვები მოეპოვება და თავისათვის ხელსაყრელ ტაქტიკას იყენებს. აი ამიტომ, გერმანელთა არმიის ცოტაოდენი წინსვლის მიუხედავად, გერმანელები ბოლოსდაბოლოს დამარცხდებიან. რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული წინანდელი ომების ისტორია გვიჩვენებს, რომ რუსეთი მუდამ იმარჯვებდა მტერზე, რომელიც მას თავს ესხმოდა“.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა სარდინიაზე

ლონდონი, 1 აგვისტო (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ავიაცია 30 ივლისს წარმატებით დაესხა თავს მოწინააღმდეგის აეროდრომსა და ჰიდროთვითმფრინავების ბაზას სარდინიის კუნძულზე. დაიწვა იტალიის 5 ყუმბარმშენი, გარდა ამისა, ძლიერ დაზიანდა რამდენიმე თვითმფრინავი და მფრინავი ნავი. ბომბარდირებამ დიდი ხანძარი გამოიწვია ჰიდროთვითმფრინავების ანგარში, სადაც ალბათ რამდენიმე მანქანა დაიწვა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება ხმელთაშუა ზღვის აუზში

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკეს. ინგლისის მძიმე ყუმბარმშენები, — ნათქვამია კომუნიკეში, — 31 ივლისს ღამით თავს დაესხნენ ბენგაზის ნავსადგურს. ჰიდროთვითმფრინავების ბაზაზე, ბენზინსაცავებსა და ქვანახშირის საწყობებზე ჩამოყრილმა ყუმბარებმა რამდენიმე აფე[illegible] მოწინააღმდეგის თავმოყრილ ავტოტრანსპორტზე სიდიომარის მახლობლად. ბომბარდირების შედეგად ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რასაც თან სდევდა აფეთქება. ინგლისის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა 31 ივლისს ღამით იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემების ქარავანზე ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში. ერთ გემზე აფეთქება მოხდა და ხანძა[illegible]

ფაშისტთა მხეცობა პოლონეთში

ლონდონი, 3 აგვისტო (საქდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა გერმანიის ანტიფაშისტური გაზეთის „დი ცაიტუნგის“ ცნობა იმის შესახებ, თუ რა საზარლად აწიოკებენ ფაშისტი ბანდიტები პოლონელ მოსახლეობას. ლონდონში მიღებული წერილებიდან სჩანს, რომ, 15 წლის ასაკიდან დაწყებული, დიდძალ პოლონელ ქალიშვილს ძალით ჰგზავნიან გერმანიაში. რამდენიმე კვირაა მშობლებს წერილები მოსდით მათგან, რომლებშიც ისინი სჩივიან—კვირაში სამჯერ ნემსებს გვიკეთებენ და ამის შემდეგ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობთო. თებერვალში გერმანიის ხელისუფლებამ გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე პოლონური სკოლების მასწავლებლებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ წარედგინათ 14 წლის ასაკით დაწყებული გოგოებისა და ბიჭების სიები. მალე ბავშვების ჭერა იწყეს ქუჩებსა და სახლებში, და მათ ჰგზავნიდნენ გერმანიაში. მშობლები ამაოდ ცდილობდნენ გადაემალათ ბავშვები ფაშისტი მტარვალებისაგან. მშობლების დაჟინებითი მოთხოვნით, ნაცისტები იძულებული გახდნენ განეცხადებინათ — ბავშვები იგზავნებიან მკურნალობის „სპეციალური კურსის გასავლელად“, რაც მათ იხსნის ზოგიერთ დაავადებისაგანო. შემდეგ გამოირკვა, რომ წაყვანილ ბავშვებს სტერილიზაცია გაუკეთეს.

პომორიეს პროვინციაში პოლონელ გოგოებსა და ბიჭებს ჯგუფ-ჯგუფად — ას-ას კაცს სტერილიზაციას უკეთებენ. ფაშისტები აშკარად აცხადებენ—საჭიროა შობადობა შემცირდეს პოლონეთში, რისთვისაც ყოველგვარი ზომა გამოსადეგიაო.

გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ პროვოკაციული ოინი

სტოკჰოლმი, 3 აგვისტო (საქდესი). 29 ივლისს გაზეთმა „სტოკჰოლმს ტიდნინგენმა“ მოათავსა ხანძრის ჩაქრობის ფოტოსურათი. ეს სურათი არავითარ ყურადღებას არ მიიქცევდა, შემდეგი წარწერა რომ არა ჰქონოდა გაკეთებული: „მოსკოვის მეხანძრეთა რაზმი ხანძარს აქრობს წითელ მოედანზე გერმანელთა ერთ-ერთი თავდასხმის შემდეგ“. გაზეთის მუშაკთა წრეებში წარწერამ გაკვირვება გამოიწვია. კარგად იციან, რომ შვეციაში არ მიუღიათ მოსკოვზე თავდასხმის ამსახველი არცერთი ფოტოსურათი. ეს გაკვირვება მალე გაჰფანტა გაზეთმა „ნიუ დაგმა“, რომელმაც მკითხველებს აცნობა: „სტოკჰოლმს ტიდნინგენმა“ ფოტოსურათი თავისი არქივიდან ამოიღოო. ფოტოსურათში გადაღებულია სტოკჰოლმში მომხდარი ერთერთი ხანძარი. გაზეთის პროვოკაციული ოინები აღშფოთებას იწვევს მკითხველებში.

რეიტერის სააგენტო გერმანიის ცნობების სიყალბის შესახებ

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, გერმანიის 1 აგვისტოს კომუნიკე ამტკიცებს, რომ 31 ივლისს ღამით გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ინგლისის ნავსადგურებს გრეიტ-იარმუტსა [illegible]

ბერლინის, ჰამბურგისა და კილის ბომბარდირება ინგლისის ავიაციის მიერ

ლონდონი, 3 აგვისტო (საქდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 2 აგვისტოს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ბერლინს. ეს იყო ერთერთი ყველაზე ინტენსიური თავდასხმა, როგორიც კი როდისმე განუცდია გერმანიის დედაქალაქს. თავდასხმაში მონაწილეობდნენ ინგლისის ახალი 4 და 2-მოტორიანი ყუმბარმშენების დიდი შენაერთები. ინგლისის თვითმფრინავებმა ბერლინზე თავდასხმა ერთსა და იმავე დროს ყველა მიმართულებიდან დაიწყეს. მას შემდეგ, რაც ქალაქს პირველი ყუმბარა დაეცა, გერმანიის საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა თვითმფრინავებს, მაგრამ, იმის გამო, რომ ქალაქის თავზე ერთსა და იმავე დროს ყუმბარმშენთა მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო, გერმანიის არტილერიამ ვერ შესძლო კონცენტრირებული სროლა ეწარმოებინა ცალკეული თვითმფრინავების წინააღმდეგ. თავდასხმაში მონაწილე მფრინავების განცხადებით, ყველაზე ინტენსიური ბომბარდირება ბერლინის ცენტრმა განიცადა. გარდა ამისა, დიდძალი ცეცხლგამჩენი ყუმბარები დააყარეს ქალაქის დასავლეთ ნაწილს. ბერლინის სხვადასხვა რაიონში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ჰამბურგისა და კილის ნავსადგურები, რომლებსაც უდიდესი ზიანი მიაყენეს. ინგლისის თვითმფრინავების მცირე შენაერთი თავს დაესხა შერბურგის დოკებს. მთელი ამ ოპერაციებიდან თავის აეროდრომებზე არ დაბრუნებულა ინგლისის 4 თვითმფრინავი.

გერმანიაში უკმაყოფილება იზრდება

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი გერმანიის საზღვრიდან იუწყება: „აღმოსავლეთის ფრონტიდან მიღებული ცნობები საგრძნობლად აძლიერებენ გერმანიის მოსახლეობის ნერვიულობასა და შეშფოთებას. ეს განწყობილება კიდევ უფრო ძლიერდება. მოსახლეობა განუწყვეტლივ ხედავს სანიტარულ მატარებლებს, რომლებსაც დაჭრილები მოჰყავთ აღმოსავლეთის ფრონტიდან, და კითხულობს დაღუპულთა გრძელ სიებს. ნერვიულობის გაძლიერების ახალი საბაბი გახდა ახალწვეულთა გაწვევა აღმოსავლეთის ფრონტისათვის, რაც 31 ივლისს გამოცხადდა. ბერლინში შეშფოთება კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც მიღებული იქნა ცნობები რუსეთისათვის ინგლისის დახმარებისა და მოსკოვში ჰოპკინსის ჩასვლის შესახებ. შინ გაგზავნილი დაჭრილი ჯარისკაცები ამბობენ: ელვისებური ომის გერმანელთა მეთოდები იმიტომ დამთავრდა მარცხით, რომ რუსის ჯარი სავსებით მექანიზებულია, ჩინებულად არის შეჭურვილი და მომარაგებული, აგრეთვე იმის გამო, რომ რუსები მამაცები არიან და მათი, სიკვდილის მომტანი პარტიზანული რაზმები და მასობრივი სნაიპერობის ტაქტიკა დღემდე ხელს უშლიდა ეფექტიურ ღონისძიებათა განხორციელებას, ჰიტლერული რეჟიმის გამო ფართოდ გავრცელებული ფარული უკმაყოფილება გაცილებით უფრო აშკარა გახდა და სულ უფრო და უფრო ფართოვდება მთელს გერმანიაში“.

გერმანელი ჯარისკაცი აღმოსავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

სტამბოლი, 3 აგვისტო (საქდესი). რუმინეთიდან ჩამოსული ნეიტრალური მეთვალყურე გადმოგვცემს ფრონტიდან დაბრუნებული გერმანელი ჯარისკაცის ნაამბობს.

ჯარისკაცის სიტყვით, გერმანელები ფრონტზე დარწმუნდნენ, თუ რა დიდი სიძულვილით უყურებს საბჭოთა მოსახლეობა გერმანელ ფაშისტებს. რუსთა წინააღმდეგობა მეტად ძლიერია. რუს ჯარისკაცს არ სურს ტყვედ დანებდეს მტერს და უკანასკნელ ვაზნამდე იბრძვის. საბჭოთა ჯარისკაცები საუცხოოდ არიან შეიარაღებულნი. გერმანიის ჯარი უდიდეს ზარალს ნახულობს. გერმანელ ჯარისკაცებს ეუბნებოდნენ რუსეთის არმია ცუდად არის შეიარაღებულიო, ნამდვილად კი სულ სხვა რამ აღმოჩნდა. რუსებს ძალიან ბევრი ტანკი აქვთ. საბჭოთა ავიაციას განუწყვეტლივ მიაქვს იერიში გზებზე, რომლებიც გერმანელთა ზურგს მოქმედ არმიასთან აკავშირებენ. ამიტომ გერმანელ ჯარისკაცებს ხშირად აწუხებთ კვების პროდუქტების ნაკლებობა. დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში გერმანელები ვერავითარ სანოვაგეს ვერ პოულობენ.

დარწმუნებული ვარ, სთქვა დასასრულ გერმანელმა ჯარისკაცმა, რომ ჩვენს არმიას ნაპოლეონის არმიის ბედი მოელის.

ინგლისის ტრედუნიონთა გენერალური საბჭოს და ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის განცხადება

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ტრედუნიონთა გენერალური საბჭო და ლეიბორისტული პარტიის აღმასკომი ერთობლივი განცხადებით სწირავს მადლობას საბჭოთა კავშირს იმ უდიდესი ღონისძიებებისათვის, რომელსაც იგი მიჰმართავს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, აგრეთვე მხარს უჭერენ ინგლისსა და სსრ კავშირს შორის დაწყებული თანამშრომლობის მაქსიმალურად გაფართოებას. გენერალური საბჭო და აღმასკომი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ თანამშრომლობის გაძლიერებას მოჰყვება ჰიტლერიზმის მოსპობა და ინგლისისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის საერთო ურთიერთგაგების მიღწევა, რაც მტკიცე მშვიდობიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ინგლისის პრესა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შესახებ

ლონდონი, 2 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „დეილი მეილი“ პირველ გვერდზე ათავსებს ცნობებს იმაზე, რომ საომარი მდგომარეობის შესახებ გერმანიის რადიოგადაცემების ტონი პესიმისტურია.

„დეილი მეილს“ მოჰყავს მაგალითები. გერმანელმა სამხედრო ექიმმა რადიოთი განაცხადა, რომ ჰოსპიტლებში განუწყვეტლივ მოჰყავთ დაჭრილები. საველე ჰოსპიტლები სავსეა დაჭრილებით. საჭირო ხდება ყოველგვარი ტრანსპორტის გამოყენება ფრონტიდან დაჭრილთა ჩამოსაყვანად. „ჩვენი სამედიცინო პერსონალი სრულიადაც არ არის საკმარისი,—სთქვა ექიმმა.—ჩვენ ვერ მოვუვლით ყველა დაჭრილს“.

გერმანიის რადიოს სამხედრო მიმომხილველი აღიარებს ფრონტის წინა ხაზზე საომარი მასალის მიტანის დიდ სიძნელეებს. გზები და ხიდები ყველგან დანგრეულია. „რაც უფრო წინ მიიწევს ჩვენი ჯარი,—ამბობს იგი,—მით უფრო ძნელი ხდება მდგომარეობა“.

ფილმები საჰაერო თავდაცვის შესახებ

— **„როგორ ვებრძოლოთ ცეცხლწამკიდ ყუმბარებს“** — ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი თვალსაჩინოდ ასწავლის მოქალაქეებს, როგორ უნდა გააუვნებლონ ცეცხლწამკიდი ყუმბარები. ფილმი გამოუშვა „მოსტექფილმმა“.

— **„შუქშენიღბვა“.** საჰაერო თავდაცვის ერთი მნიშვნელოვანი დარგია შუქშენიღბვა. „მოსტექფილმის“ ახალი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შუქშენიღბვა“ გვასწავლის არა მარტო საცხოვრებელი სახლების შენიღბვას, არამედ მოქალაქეთა ქცევის წესებს შენიღბვის პირობებში.

— **„ქიმიური რგოლის მუშაობა“.** ფილმი დაწვრილებით გვასწავლის, როგორ უნდა იმუშაოს თვითდაცვის ჯგუფის ქიმიურმა რგოლმა, როცა მტერი საჰაერო თავდასხმისას გამოიყენებს იპრიტს.

— **„საჰაერო განგაში“.** თუ როგორ უნდა მოიქცეს ქალაქი, ცალკეული საცხოვრებელი სახლი საჰაერო განგაშის დროს ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა ფილმი „საჰაერო განგაში“, რომელიც სამამულო ომის დაწყების შემდეგ გამოუშვა „მოსტექფილმმა“.

— **„ხანძართან მებრძოლი რგოლი“.** სტალინური პრემიის ლაურეატი რეჟისორი ი. პოსელსკი აჩვენებს სასწავლო ფილმში თავდაცვის ჯგუფის ხანძრის წინააღმდეგ მებრძოლი რგოლის მუშაობის შესახებ.

ლექცია

5 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიონის სააგიტაციო პუნქტში (ხეთაგუროვის ქუჩაზე) ამხ. **რუხაძე** წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე. თემა: **„ჰიტლერის გერმანიის ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობა და ჩვენი ამოცანები მასთან ბრძოლაში“.**

შესვლა თავისუფალია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის) — „მტრის ზურგში“, **ოქტომბერი**—„პეპო“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ახალი ჰორიზონტი“, **კომკავშირელი** (ზამთრის)—„უკანასკნელი ჯვაროსნები“, **სპარტაკი** — „ვაჟკაცობა“, **ლუქსემბურგის სახ.**—„დაურღვეველი მეგობრობა“, **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „გადასასვლელი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ძთის ნაკადი“, **კომინტერნი** — „უკანასკნელი ატრაქციონი“, **განთიადი** — „პარტიული ბილეთი“, **საზკვების კავშირის კლუბი**—„მეგობრები ბანაკიდან“, **მეცნიერება და ცოდნა**—„თავადის ასული მერი“, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — „უკანასკნელი მასკარადი“, **გორკის სახელობის პარკი** — „უმაღლესი ჯილდო“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ტანკერი „დერბენტ““.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

ფეხბურთი

ოსტატთა ამხანაგური შეხვედრა

3 აგვისტოს თბილისის ლ. პ. ბერიას [illegible]

თბილისის სასწავლო-ინდუსტრიულ ტექნიკუმში მიმდინარეობს II, III და IV კურსებზე **მიღება 15 აგვისტომდე.** I კურსზე [illegible]—1 სექტემბრიდან. მისამართი: კოლონტაის ქ. № 60.

რედაქციის და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. [illegible]